


აათეაგზისა



4

ნაიმა კეპრემანოვა
ჯემილე ესგეროვა

მათემატიკა

4

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების
მე-4 კლასისათვის “მათემატიკის” საუნის
სახელმძღვანელო

დამტკიცებულია აზერბაიჯანის რესპუბლიკის
განათლების სამინისტროს 04. 07. 2011 წლის
1158-ე ბრძანებით.

© აზერბაიჯანის რესპუბლიკის განათლების სამინისტრო, 2016

საავტორო უფლებები დაცულია. სპეციალური ნებართვის გარეშე
ამ გამოცემის ან მისი რომელიმე ნაწილის ხელახალი გამოცემა,
ასლის გადაღება, ელექტრონული საინფორმაციო საშუალებებით
გავრცელება კანონით აკრძალულია.

გამომცემლობა “Radius”

გთხოვთ სახელმძღვანელოსთან დაკავშირებული თქვენი¹
გამოხმაურება, შენიშვნები და წინადადებები გამოაგწავნოთ
radius_n@hotmail.com და derslik@edu.gov.az ელექტრონულ
მისამართებზე. წინასწარ მადლობას მოგახსენებთ ჩვენთან
თანამშრომლობისათვის!



Azərbaycan Respublikasının Dövlət Himni

Musiqisi Üzeyir Hacıbəylinin,
sözləri Əhməd Cavadındır.

Azərbaycan! Azərbaycan!
Ey qəhrəman övladın şanlı Vətəni!
Səndən ötrü can verməyə cümlə hazırlız!
Səndən ötrü qan tökməyə cümlə qadiriz!
Üçrəngli bayraqınla məsud yaşa!
Minlərlə can qurban oldu!
Sinən hərbə meydan oldu!
Hüququndan keçən əsgər,
Hərə bir qəhrəman oldu!

Sən olasan gülüstan,
Sənə hər an can qurban!
Sənə min bir məhəbbət
Sinəmdə tutmuş məkan!

Namusunu hifz etməyə,
Bayrağını yüksəltməyə
Cümlə gənclər müştəqdir!
Şanlı Vətən! Şanlı Vətən!
Azərbaycan! Azərbaycan!



ՀԵՇԻՋԱՆ ԱԼԻԵՎ
ԱԶԵՐԲԱՅՋԱՆԻ ԿԱԼԵՍ ՍԱՄԹԹ ԷՐԹՅԵՆԵԼՈ ՀՈՒԶԵՐԸ

ს ა რ ჩ ე ვ ი

1-ლი განყოფილება	მე-4 განყოფილება
შემოწმებისა და განმტკიცების დავალებები რიცხვები 1 000 000-ის ფარგლებში..... 1 000 000-ის ფარგლებში შექრება და გამოკლება..... განმაზოგადებელი დავალებები..... ჯამის მიხედვით ამოცანების ამოხსნა მსჯელობის გზით..... ამოცანების ამოხსნა. მთელი-ნაწილის მოდელი 	პუთხეები თთხუთხედები სამკუთხედები წრეწირი, წრე მრავალუთხედის პერიმეტრი წარმოდგენები ფართობზე ამოცანების ამოხსნა. ნამდვილი ზომა, სურათზე არსებული ზომა გეომეტრიული ფიგურები და შლილის სურათები
მე-2 განყოფილება	მე-5 განყოფილება
გამრავლების მოქმედების თვისებები ორნიშნა რიცხვის ერთნიშნა რიცხვზე გაყოფა სამნიშნა რიცხვის ერთნიშნა რიცხვზე გაყოფა მრავალნიშნა რიცხვის ერთნიშნა რიცხვზე გამრავლება მრავალნიშნა რიცხვის ერთნიშნა რიცხვზე გაყოფა ამოცანების ამოხსნა 	ორნიშნა რიცხვზე გამრავლება სამნიშნა რიცხვის ორნიშნა რიცხვზე გამრავლება მრავალნიშნა რიცხვის ორნიშნა რიცხვზე გამრავლება მრავალნიშნა რიცხვზე გაყოფის მოქმედება ორნიშნა რიცხვზე გაყოფა სამნიშნა რიცხვზე გამრავლება სამნიშნა რიცხვზე გაყოფა
მე-3 განყოფილება	მე-6 განყოფილება
ნაწილები, წილადები რიცხვის მიხედვით ნაწილის პოვნა ნაწილის მიხედვით რიცხვის პოვნა სიგრძის გაზომვა მასის გაზომვა ტევადობის გაზომვა 	გამოიკვლეულით ინფორმაცია და წარმოადგინეთ ალბათობა და დასკვნა საკოორდინატო ბადე საათი, წუთი ფული ამოცანების ამოხსნა განმაზოგადებელი დავალებები



1-ლი განცოდილება

რას შეისწავლით ამ განცოდილებაში?

- 1 000 000-ის ფარგლებში რიცხვების ჩაწერასა და წაკითხვას;
- 1 000 000-ის ფარგლებში რიცხვების სხვადასხვა ფორმაში გამოსახვას;
- მრავალნიშნა რიცხვების შედარებას;
- მრავალნიშნა რიცხვების დამრგვალებას;
- მრავალნიშნა რიცხვების შექრებასა და გამოკლებას;
- სხვადასხვა ხერხით ამოცანების ამოხსნას.

23 | 578 და 23 | 781

4 876 \approx 5 000



შვილიშვილი

ბებია



} 60

შემოწმებისა და განმტკიცების დავალებები

1

რა რიცხვი მიღება?

- 1) უდიდესი ლუწი სამნიშნა რიცხვის ასეულების რაოდენობის
2 ერთეულით შემცირებით;
- 2) 33 ათეულსა და 3 ერთეულზე 19 ათეულის მიმატებით;
- 3) რიცხვი 389-ის ათეულების 3 ერთეულით გაზრდით, ერთეულების
2 ერთეულით შემცირებით;
- 4) 75 ათეულზე 12-ის მიმატებით.

2

რიცხვები დაამრგვალეთ ათეულებამდე.

345 458 209 382 437 901 873 566 704

3

გამოიყენეთ პირველი მაგალითი დანარჩენი ორი მაგალითის ამოსახსნელად.

1) $440 - 40$	2) $680 - 80$	3) $850 - 50$	4) $222 - 22$
$440 - 39$	$680 - 81$	$850 - 52$	$222 - 32$
$440 - 41$	$680 - 79$	$850 - 54$	$222 - 42$

4

ამოსენით მაგალითები მარტივი ხერხით.

$472 - 39$	$242 + 349$	$410 - 39$
$586 - 59$	$406 - 199$	$704 - 69$
$682 + 69$	$800 - 499$	$300 - 99$
$543 + 39$	$355 + 399$	$422 - 49$

5

იმოვეთ ათეულების თანრიგში ციფრი 4-ის მქონე უმცირესი კენტი სამნიშნა რიცხვისა და ამ რიცხვზე 3-ჯერ ნაკლები რიცხვის ჯამი.

6

სამ ყუთში სულ 65 კგ გამლი იყო. მათ შორის 1 ყუთში 19 კგ გამლი იყო, დანარჩენ ორ ყუთში გამლების წონა ტოლი იყო. რამდენი კგ გამლია თითოეულ ყუთში?

7

დღეს ქენანის და იმდენი წლისაა რამდენისაც იყო ქენანი 2 წლის წინ. რამდენი წლის იქნებიან ქენანი და მისი და 3 წლის შემდეგ, თუ დღეს და 7 წლისაა?

შემოწმებისა და განმტკიცების დავალებები

1

გამრავლების მოქმედების განრიგებადობის თვისების გამოყენებით გამოთვალეთ.

$$91 \cdot 7$$

$$120 \cdot 5$$

$$165 \cdot 7$$

$$56 \cdot 6$$

$$240 \cdot 4$$

$$284 \cdot 2$$

$$34 \cdot 8$$

$$320 \cdot 2$$

$$198 \cdot 4$$

2

იპოვეთ განაყოფი.

$$88 : 4$$

$$36 : 3$$

$$72 : 6$$

$$575 : 5$$

$$48 : 4$$

$$45 : 3$$

$$84 : 6$$

$$695 : 5$$

$$84 : 4$$

$$87 : 3$$

$$96 : 6$$

$$785 : 5$$

3

გამოიანგარიშეთ.

$$(27 + 30) : 3$$

$$(55 - 35) : 5$$

$$(24 + 36) : 6$$

$$(33 + 27) : 3$$

$$(100 - 24) : 4$$

$$(200 - 40) : 8$$

$$(48 + 54) : 6$$

$$(120 - 21) : 3$$

$$(270 - 81) : 9$$

4

გამოიანგარიშეთ. მაგალითების ერთი სვეტიც თქვენ დაამატეთ.

$$1) 8 \cdot 5 + 7$$

$$2) 80 : 4 + 5$$

$$3) 36 : 6 + 9$$

$$5 \cdot 7 + 8$$

$$5 \cdot 4 + 80$$

$$6 \cdot 9 - 36$$


$$8 \cdot 5 - 7$$

$$80 - 4 \cdot 5$$

$$9 + 36 \cdot 6$$

5

23 მ სიგრძის ლენტიდან 3-ჯერ, ყოველ ჯერზე ერთი და იგივე სიგრძის ლენტი ჩამოიჭრა. იპოვეთ ერთი ნაწილის სიგრძე, თუ დარჩენილი ლენტის სიგრძე 8 მ-ია. რომელი სქემა წარმოადგენს უფრო ნათლად ამოცანის პირობას?



2)

6

ამოხსენით განტოლებები.

$$1) x - 8 = 17$$

$$2) 39 - x = 11$$

$$3) 36 : x = 4$$

7

სამირს ცისფერი, მწვანე და ნარინჯისფერი პერანგები, შავი, ნაცრისფერი და თეთრი ფერის შარვლები აქვთ. რამდენ გარიანტად შეიძლება ჩაიცვას სამირმა ეს ტანსაცმლები?

8

სასკოლო ღონისძიებაში მონაწილე 21 მოსწავლიდან თითოეულს საჩუქრად 3 რვეული გადაეცემა. რვეულები ექვსცალიან შეკვებში იყიდება. რამდენი შეკვრა რვეული უნდა შეიძინონ საჩუქრად გადასაცემად?

შემოწმებისა და განმტკიცების დავალებები

1

სტუმრები 4 ავტობუსით, თითოეულში 18 მგზავრით მივიდნენ სასტუმროში. ისინი ოთახებში ორ-ორად მოთავსდნენ. რამდენი თთახი გამოიყო სტუმრებისათვის?

2

შეასრულეთ ნაშთიანი გაყოფის მოქმედებები.

$$45 : 7$$

$$64 : 7$$

$$81 : 8$$

$$124 : 6$$

$$100 : 9$$

$$58 : 9$$

$$32 : 9$$

$$93 : 9$$

$$183 : 9$$

$$145 : 7$$

3

უჯრების ადგილას ჩაწერეთ ისეთი რიცხვები, რომ სწორი ტოლობა მივიღოთ.

$$53 = 7 \cdot 7 + \boxed{}$$

$$37 = 4 \cdot \boxed{} + 3$$

$$27 = 4 \cdot \boxed{} + \boxed{}$$

$$42 = 8 \cdot 5 + \boxed{}$$

$$40 = \boxed{} \cdot 7 + 5$$

$$32 = \boxed{} \cdot 5 + \boxed{}$$

4

უჯრების ადგილას ჩაწერეთ ისეთი რიცხვები, რომ ნაშთიანი გაყოფა სწორად შესრულდეს.

$$34 : 6 = \boxed{} 64$$

$$16 : \boxed{} = 5 61$$

$$39 : \boxed{} = 4 63$$

$$\boxed{} : 4 = 4 62$$

$$\boxed{} : 9 = 6 63$$

$$39 : \boxed{} = 5 64$$

$$40 : 6 = 6 6 \boxed{}$$

$$\boxed{} : 5 = 6 61$$

$$39 : \boxed{} = 6 63$$

5

სპორტის გაკვეთილზე მოსწავლეები 3 ტოლ ჯგუფად დაიყვნენ. ერთმა ჯგუფმა ხელბურთი, ორმა ჯგუფმა კი ფეხბურთი ითამაშა. რამდენმა მოსწავლემ ითამაშა ფეხბურთი, თუ ხელბურთის მოთამაშეთა რაოდენობა იყო 6-ის ტოლი?

6

შეასრულეთ მოქმედებები.

$$984 - 112 + 147$$

$$414 : 3 - 45$$

$$456 + 345 - 133$$

$$312 : 2 + 120$$

$$413 - 123 - 95$$

$$120 + 366 \cdot 3$$

7

ქვემოთ მოცემულები კმ, სმ, მმ, კგ, მგ, ლ, მლ, წამი, წუთი, საათი საზომი ერთეულებიდან რომლებით იწომება?

1) ერთი კოგზი ზეითუნის ზეთი

7) ერთი აბი წამალი

2) ბაქოდან აღდაშამდე მანძილი

8) ერთი კოგზი შაქრის ფნვნილი

3) ფანჯრის სიგრძე

9) ორი საზამთრო

4) ჭიანჭველის სხეულის სიგრძე

10) ერთი დღის სამუშაო დრო

5) ერთი ვედრო წყალი

11) ერთი ჭიქა ნილის წვენი

6) კარების დახურვისათვის საჭირო დრო

12) კვერცხის მოსახარში დრო


შემოწმებისა და განმტკიცების დავალებები

1

სასწავლო წლის დასაწყისში სკოლაში 436 გოგონა და 315 ბიჭი იღებდა განათლებას. წლის მანძილზე 4 ბიჭი და 9 გოგონა სხვა სკოლაში გადავიდა, 4 ბიჭი და 6 გოგონა კი ამ სკოლაში მოვიდა. რამდენი მოსწავლე სწავლობს სკოლაში?

2

სურათზე ქუჩების გეგმაა მოცემული.
გეგმა რეგულში ჩაიხატეთ და მოცემული
პირობების მიხედვით დააწერეთ ქუჩების
სახელები.




ბეჭრ სეფეროლლუ

- ფიზულის ქუჩა ბეჭრ სეფეროლლუს ქუჩის პარალელურია.
- სემედ ვურლუნის ქუჩა ფიზულისა და ბეჭრ სეფეროლლუს ქუჩების პერპენდიკულარულია.


3

განსაზღვრეთ თთოეული სურათი რომელი ფიგურის შლილია.

1)



2)



3)



4

ათეულებამდე დამრგვალებით გამოიანგარიშეთ და შეადარეთ.

$$438 + 546 \bigcirc 214 + 641$$

$$672 - 507 \bigcirc 508 - 309$$

$$721 - 196 \bigcirc 341 + 159$$

$$539 - 211 \bigcirc 353 + 49$$

$$345 + 461 \bigcirc 817 - 112$$

$$456 + 328 \bigcirc 121 - 16$$

5

- 1) რომელიდაც რიცხვს მიუმატეს 25. დაწერეთ ჯამის მაჩვენებელი გამოსახულება, თუ ამ რიცხვს ი-ად ჩაგთვლით.
- 2) ნეზრინის ილპამზე 5-ჯერ მეტი ფული აქვს. დაწერეთ ნეზრინის ფულის მაჩვენებელი გამოსახულება, თუ ჩაგთვლით, რომ ილპამის ფული x -ის ტოლია.

6

ამონენით ამოცანა განტოლების შედეგენით.

მოსაწვევის მქონე 40 პირი უკვე დარბაზშია. მოსაწვევი გაგზავნილი იყო სულ 75 პირზე. კიდევ რამდენი პირის მოსვლაა მოსალოდნელი?


შემოწმებისა და განმტკიცების დავალებები

1

გამოიანგარიშეთ ფიგურების პერიმეტრები.

1) 6 სმ

4 სმ




2)

4 სმ

9 სმ

9 სმ




3)

8 სმ

8 სმ

8 სმ



2

გამოსახული საჭირო ზომის ერთეულებით.

$$125 \text{ მმ} = \boxed{} \text{ სმ} \quad \boxed{} \text{ მმ}$$

$$24 \text{ სმ} \quad 5 \text{ მმ} = \boxed{} \text{ მმ}$$

$$247 \text{ სმ} = \boxed{} \text{ დმ} \quad \boxed{} \text{ სმ}$$




$$5 \text{ დმ} \quad 25 \text{ მმ} = \boxed{} \text{ მმ}$$

$$128 \text{ სმ} = \boxed{} \text{ მ} \quad \boxed{} \text{ სმ}$$

$$3 \text{ მ} \quad 38 \text{ სმ} = \boxed{} \text{ სმ}$$

3

“იღბლიანი ბორბლის” დაფაზე ნაზიმმა თეთრი ნაწილი, ანარმა კი მწვანე ნაწილი აირჩია. სურათზე მოცემული დაფებიდან ვინ, რომელი თუ აირჩია ექნება მოვების მეტი შანსი? ამ პირობებით თამაშის სამართლიანობისათვის, ორივემ რომელი “იღბლიანი ბორბალი” უნდა აირჩიოს?



4

თერანეს საესტრადო მუსიკა ჩაწერილი CD -ების რაოდენობა ხალხურ მუსიკა ჩაწერილი CD -ების რაოდენობაზე 8-ით მეტია. საესტრადო მუსიკა ჩაწერილი დისკების რაოდენობა აღნიშნეთ n -ით და შეადგინეთ ცვლადიანი გამოსახულება. იპოვეთ გამოსახულების მნიშვნელობა, თუ $n = 12$, $n = 14$.

5

გამოიანგარიშეთ თანხა.

-2 ხუთმანეთიანი, 3 ოცგაპივიანი და 2 ათვაბივიანი;

-5 ათმანეთიანი, 3 ხუთმანეთიანი და 2 ერთმანეთიანი;

-2 ათმანეთიანი, 3 ერთმანეთიანი, 4 ხუთვაბივიანი;

-3 ოცმანეთიანი, 2 ორმოცდაათვაბივიანი და 5 ოცგაპივიანი.

6

რიცხვი გაიყო თოხზე. განაყოფს მიემატა 120, მიღებული რიცხვი მრავლდება 3-ზე და მიიღება 423. რომელი რიცხვია ეს? გამოსახული ეს მოქმედებები სქემატურად.

რიცხვები 1 000 000-ის ფარგლებში

თანრიგები, კლასები

ათასეულები			ერთეულები		
ასეულ-ათასეულები	ათეულ-ათასეულები	ათასეულები	ასეულები	ათეულები	ერთეულები
3	1	5	8	6	4

მრავალნიშნა რიცხვებში მარჯვნიდან მარცხნივ ყოველი სამი თანრიგი ერთ კლასს შეადგენს. რიცხვები მარცხნიდან მარჯვნივ კლასების სახელით იგითხება.

მაგალითად 315 864-სამას თხუთმეტი ათას რვაას სამოცდაოთხი

თანრიგის ერთეულები


$$1 \text{ ათეული} = 10 \text{ ერთეული}$$

$$1 \text{ ასეული} = 10 \text{ ათეული}$$

$$1 \text{ ათასეული} = 10 \text{ ასეული}$$

$$1 \text{ ათიათასეული} = 10 \text{ ათასეული}$$

$$1 \text{ ასიათასეული} = 10 \text{ ათიათასეული}$$



როგორც ხედავთ, მარცხნიდან მარჯვნივ ყოველი მომდევნო თანრიგის ერთეული მის წინამდებარეზე 10-ჯერ მეტია.

ციფრის მნიშვნელობა თანრიგების მიხედვით

მრავალნიშნა რიცხვის შემადგენელი ციფრებიდან თითოეული ჩაწერის თანრიგის შესაბამის მნიშვნელობას იღებს. მაგალითად 315 864 რიცხვში:

3 - ის მნიშვნელობა - 300 000

1 - ის მნიშვნელობა - 10 000

5 - ის მნიშვნელობა - 5 000

8 - ის მნიშვნელობა - 800

6 - ის მნიშვნელობა - 60

4 - ის მნიშვნელობა - 4

რიცხვის სხვადასხვანაირი ჩანაწერი

ციფრებით ჩაწერა: 315 864

სიტყვებით ჩაწერა: სამას თხუთმეტი ათას რვაას სამოცდაოთხი

სიტყვებითა და ციფრებით მოკლე ჩაწერა: 315 ათას 864.

თანრიგის მნიშვნელობების მიხედვით ჩაწერა:


$$315 864 = 300 000 + 10 000 + 5 000 + 800 + 60 + 4$$

$$315 864 = 3 \cdot 100 000 + 1 \cdot 10 000 + 5 \cdot 1 000 + 8 \cdot 100 + 6 \cdot 10 + 4$$


რიცხვები 1 000 000-ს ფარგლებში

1




დაწერეთ მოდელით მოცემული რიცხვი ციფრებით, სიტყვებით, მოკლე ჩანაწერით და თანრიგის მნიშვნელობების ჯამის სახით.



ორი ათასეული



სამი ასეული



ორი ათეული



შვიდი ერთეული

2

რიცხვები ნიმუშის შესაბამისად კლასებად დაყავით და დაწერეთ.

$$300524 \longrightarrow \begin{array}{cc} 300 & 524 \\ \downarrow & \downarrow \\ 300 & \text{ათას } 524 \end{array}$$

$$\begin{array}{r} 300\,524 \\ 420\,251 \end{array} \quad \begin{array}{r} 315\,200 \\ 67\,805 \end{array} \quad \begin{array}{r} 10\,821 \\ 4\,422 \end{array}$$

3

რომელ რიცხვებს გამოსახავს ქვემოთ მოცემული ჩანაწერები? დაწერეთ ციფრებით.

$$700000 + 60000 + 7000 + 80$$

$$70000 + 700 + 80$$

$$767 \text{ ათას } 80$$

$$70 \text{ ათას } 780$$

$$78 \text{ ათას } 670$$

$$70000 + 8000 + 600 + 70$$

4

დაწერეთ აღნიშნული ციფრების თანრიგის მნიშვნელობა.

$$1) \underline{4}38\,\underline{7}06 \quad 2) \underline{1}13\,553 \quad 3) \underline{1}2\,\underline{8}66 \quad 4) \underline{9}8\,\underline{0}99$$

$$5) 36\,\underline{4}66 \quad 6) \underline{1}471 \quad 7) 5\,\underline{2}22 \quad 8) \underline{6}537$$

5

წყნარი ოკეანის სიღრმე თერთმეტი ათას ოცდაორი მეტრია. დაწერეთ ეს რიცხვი სხვადასხვანაორად.

6

ფერადი უჯრების ადგილას ჩაწერეთ ისეთი რიცხვები, რომ სწორი ტოლობა მივიღოთ.

$$1) 7\,000 + \boxed{} + 40 + 5 = 7\,845$$

$$2) \boxed{} + 8\,000 + 900 + 70 + 6 = 18\,976$$

$$3) 200\,000 + 40\,000 + 5\,000 + 700 + \boxed{} + 3 = 245\,783$$

7

სემედი ამბობს: ვისურგებ, შვიდას სამოცდაჩვიდმეტი ათას შვიდას სამოცდაჩვიდმეტი მანეთი მქონდეს, მაგრამ ჩემი ფული საოცნებო თანხის მაჩვენებელი რიცხვის ათეულების თანრიგის ციფრის მნიშვნელობისა და ერთეულების თანრიგის ციფრის მნიშვნელობის სხვაობის ტოლია. რამდენი მანეთი აქვს სემედს?


რიცხვები 1 000 000-ის ფარგლებში

1


ჩაწერეთ მოცემული რიცხვები ამ ნიმუშების მიხედვით.

2100, 3200, 5400, 4600, 7200

2 ათასეული 1 ასეული



21 ასეული



2

- 1) რამდენი ათეულია?
- a) 520 000
b) 64 000
g) 3 300

- 2) რამდენი ასეულია?
- a) 19 000
b) 135 000
g) 6 000

3

რიცხვები ნიმუშის შესაბამისად სხვადასხვანაირად ჩაწერეთ.

1) 342 057 2) 147 454 3) 652 763 4) 538 947

$$342\ 057 = 3 \cdot 100\ 000 + 4 \cdot 10\ 000 + 2 \cdot 1\ 000 + 0 \cdot 100 + 5 \cdot 10 + 7$$

$$342\ 057 = 300\ 000 + 40\ 000 + 2\ 000 + 0 + 50 + 7$$

$$342\ 057 = 3 \text{ ასეულათასეული} + 4 \text{ ათეულათასეული} + 2 \text{ ათასეული} + 0 \text{ ასეული} + 5 \text{ ათეული} + 7 \text{ ერთეული}$$

4

ჩაწერეთ ციფრებით.

- 1) სამას ოცდაოთხუთმეტი ათას ას შვიდი
2) 600000 + 30000 + 5000 + 100 + 70 + 5
3) 4 ათეულათასეული + 0 ათასეული + 5 ასეული + 0 ათეული + 8 ერთეული

5

დაწერეთ:

- უდიდესი ექვსნიშნა რიცხვი;
- უმცირესი ექვსნიშნა რიცხვი;
- 2, 3, 1, 4, 5, 7 ციფრებიდან თითოეულის ერთხელ გამოყენებით შესაძლო უმცირესი და უდიდესი ლუწი რიცხვები.

6

რომელი წესითაა დალაგებული ეს რიცხვები? დაწერეთ ამ წესით კიდევ სამი რიცხვი.

4971, 5071, 5171, ...

7

სურათზე მოცემული მრაცხველი უწვენებს ავტომობილის გაგლილ მანძილს კილომეტრობით.



როგორ შეცვლება მრაცხველის მაჩვენებელი, თუ ავტომობილი კიდევ გაიგლის: a) 1 გმ-ს; b) 10 გმ-ს; g) 100 გმ-ს; d) 1000 გმ-ს?

რიცხვები 1 000 000-ს ფარგლებში

რიცხვების შედარება

1. ორი რიცხვიდან, რომელთა ციფრების რაოდენობა განსხვავებულია, ას არის მეტი, რომლის ციფრების რაოდენობაც მეტია.

მაგალითად, $23\ 456 > 6\ 789$

2. ორი ტოლი რაოდენობის ციფრების მქონე რიცხვების შედარება უმაღლესი თანრიგის ციფრების შედარებით იწყება.

მაგალითად, $376\ 211$ და $372\ 954 \quad 6 > 2$

მაშასადამე, $376\ 211 > 372\ 954$ ან $372\ 954 < 376\ 211$

რამდენიმე რიცხვის ზრდის ან კლების რიგის მიხედვით დალაგებისათვისაც შედარების ნიშნები ($>$, $<$) გამოიყენება.

მაგალითად, $4725 > 3745 > 1423 \quad \text{კლების რიგის მიხედვით}$
 $1423 < 3745 < 4725 \quad \text{ზრდის რიგის მიხედვით}$

დაიმახსოვრეთ! კლების რიგის მიხედვით დალაგებისას რიცხვებს შორის “შეტია – $>$ ”, ზრდის რიგით დალაგებისას კი “ნაკლებია – $<$ ” ნიშანი იწერება.

1

ჩაწერეთ ფერადი უჯრების ადგილას $>$, $<$ ნიშნებიდან შესაბამისი. მცირე რიცხვი შემოხაზეთ.

1) $56\ 724$ █ $32\ 954$	$2\ 382$ █ $2\ 379$	$25\ 820$ █ $2\ 679$
$56\ 724 > \textcircled{32\ 954}$	736 █ $1\ 754$	$345\ 382$ █ $345\ 764$

2

იმისათვის, რომ შედარება სწორი იყოს, ფერად უჯრაში რომელი რიცხვების ჩაწერა შეიძლება? დაწერეთ ორი ნიმუში. თქვენ როგორ განსაზღვრავთ ამას?

3

ნიმუშებს დააკვირდით. ისეთი რიცხვები ჩაწერეთ ფერადი უჯრების ადგილას, რომ შედარება სწორი გამოდგეს.

1) $1208 < 1209 < 1210$	2) $5225 > 5224 > 5223$
a) $34508 < \textcolor{pink}{\square} < 34510$	a) $5\ 697 > \textcolor{pink}{\square} > 5\ 695$
b) $124611 < \textcolor{pink}{\square} < 124613$	b) $14\ 723 > \textcolor{pink}{\square} > 14\ 721$

4

ფერად უჯრებში ასე ჩაწერეთ ფრჩხილებში მოცემული ციფრები, რომ შედარება სწორი გამოდგეს. თითოეული ციფრი ერთხელ გამოიყენეთ.

1) $13\ \textcolor{red}{3}\ 230 > 13\ \textcolor{green}{2}\ 230 > 1322\ \textcolor{blue}{0}$ (1, 2, 3)

2) $35\ \textcolor{green}{\square}\ 88 < \textcolor{green}{\square}\ 5737 < 357\ \textcolor{green}{\square}\ 8 < 357\ \textcolor{blue}{\square}\ 7$ (1, 3, 9, 7)

5

5. 3, 4, 7, 9 ციფრებიდან თითოეულის ერთხელ გამოიყენებით დაწერეთ 4 000-ზე მეტი და 9 000-ზე ნაკლები რიცხვები.

რიცხვები 1 000 000-ს ფარგლებში

დამრგვალება

დამრგვალება შეიძლება ქვემოთ მოცემული მიმდევრობით შესრულდეს.

1. რომელ თანრიგამდე დამრგვალებაც გვსურს, იმ თანრიგის ციფრი აღნიშნეთ.
2. გამოიყენეთ დამრგვალების წესი: თუ აღნიშნული ციფრის მარჯგნივ მდებარე პირველი ციფრი 5-ზე ნაკლებია, მაშინ აღნიშნული ციფრი არ იცვლება, ხოლო თუ 5-ია ან 5-ზე მეტია, მაშინ აღნიშნული ციფრი ერთი ერთეულით დადაი ციფრით იცვლება. ამ ციფრის მარჯგნივ ყველა თანრიგში “0” იწერება.

მოთხოვნილ თანრიგამდე დამრგვალება:

- ათეულებამდე: **273 854 ≈ 273 850**
- ასეულებამდე: **273 854 ≈ 273 900**
- ათასეულებამდე: **273 854 ≈ 274 000**
- ათეულ ათასეულებამდე: **273 854 ≈ 270 000**
- ასეულ ათასეულებამდე: **273 854 ≈ 300 000**

1

დაამრგვალეთ რიცხვები აღნიშნულ თანრიგებამდე.

- | | | | |
|-----------|--------|-----------|----------|
| 1) 32 567 | 3) 214 | 5) 30 245 | 7) 6 145 |
| 2) 4 576 | 4) 67 | 6) 768 | 8) 3 087 |

2

მძღოლმა გავლილი გზის სიგრძე ათეულებამდე დამრგვალებით 1350 ქმ ჩაწერა. დაწერეთ ზუსტი სიგრძის შესაბამისი შესაძლო რიცხვები.

3

მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი ჰიმალაის მთებში არსებული ევერესტის მწვერვალია. მისი სიმაღლე რვა ათას რვა ას თრმოცდარვა მეტრია.

დაამრგვალეთ ეს რიცხვი ათეულებამდე და ციფრებით დაწერეთ ევერესტის მწვერვალის დაახლოებითი სიმაღლე.

4

ცხრილში მოცემულია ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ რაიონში მოსახლეობის რაოდენობა. დაამრგვალეთ რიცხვები ათასეულებამდე. ჩაწერეთ რაიონების სახელები და მოსახლეობის რაოდენობა სვეტში ზრდადობის მიხედვით.

მოსახლეობის რაოდენობა რაიონების მიხედვით. 2014 წლის მონაცემები

სახელი	თოვუზი	კუსარი	შემქინი	გთხია	ხაზი	კუბა	აღდამი	მახალლი დერიქი
მოსახლეობის რაოდენობა	166 300	92 600	203 900	114 500	16000	161 400	188 400	211 900

5

44 695, 48 817, 49 544, 51 356, 53 126, 52 348, 55 453 რიცხვებიდან რომლების ათეულ ათასეულებამდე დამრგვალებით მიიღება 50 000?

რიცხვები 1 000 000-ს ფარგლებში


პრაქტიკული მეცადინეობები.

წარმოიდგინეთ! რამდენად დიდი რიცხვია ერთი მილიონი?

ჯგუფური სამუშაო.

1

1. თთოული ჯგუფის წევრები 10×10 უჯრებიან კვადრატულ ბადეებს ხაზავნ.
2. თთოული ჯგუფის გამზადებული 10 ასეთი ბადის გვერდი-გვერდ დალაგებთ 1 000 უჯრიანი ბადე იქმნება.
3. შემდეგ 10 ცალი 1 000 უჯრიანი ბადის გვერდი-გვერდ დალაგებთ 10 000 უჯრიანი ბადე იქმნება.
4. 10 000 უჯრიანი ბადე დაფარე დაეტევა? აბა, კლასის იატაგზე რომ მოვაწყოთ, დაეტევა?
5. რამდენი ცალი 10 000 უჯრიანი ბადის შეერთებით, მიღებთ 1 000 000 უჯრიან ბადეს?
6. წარმოიდგინეთ! ამ წესით გამზადებული 1 000 000 უჯრიანი ბადე კლასის იატაგზე დაეტევა?



2

წარმოიდგინეთ წევრებით გადაბმული ერთი მილიონი სკრეპის სიგრძე. ვარაუდისათვის სხვადასხვა გზა მოიფიქრეთ. მაგალითად, 4 სკრეპის სიგრძე გაზომეთ, ეს დაახლოებით 10 სმ-ია. 10 სკრეპის, 100 სკრეპის სიგრძის შესახებ წარმოდგენა შეიქმნებით. ხოლო შემდეგ 10 000, 100 000, 1 000 000 სკრეპის სიგრძის შესახებ ვარაუდები გამოთქვით.



3

ჯერ ივარაუდეთ, რამდენი კალამი დაეტევა ერთ საკალმეში. შემდეგ ვარაუდი კალმების დათვლით შეამოწმეთ. თუ ერთ საკალმეში დაახლოებით 20 კალამი დაეტევა, მაშინ რამდენ კალამს დაიტევს: ა) 10; ბ) 100; გ) 1000 საკალმე?



4

- 1 მილიონის რაოდენობის წარმოდგენის შესახებ მაგალითები მოიფიქრეთ. უფრო პატარა რიცხვებზე მოსაზრების გამოთქმით განიხილეთ. მაგალითად, ჩვენს კლასში 20 მოსწავლეა. ერთი მილიონი მოსწავლისათვის რამდენი ასეთი კლასია საჭირო?

განმაზობრებელი დავალებები

1

იძოვეთ სხვაობა $477 - 256$ რიცხვის ასეულების თანრიგის ციფრის მნიშვნელობასა და ათეულების თანრიგის ციფრის მნიშვნელობას შორის.

2

ზრდის რიგის მიხედვით დალაგებული 5 მიმდევრობითი ლუწი რიცხვიდან უმცირესი $400\ 000 + 50\ 000 + 3\ 000 + 700 + 20 + 4$ სახით შეძლება გამოისახოს. დაწერეთ ეს რიცხვები მიმდევრობით.

3

ფერადი უჯრების აღვილას ჩაწერეთ შესაბამისი შედარების ნიშანი.

$$7\ 421 \quad \boxed{2\ 564} \quad \boxed{543}$$

$$5\ 489 \quad \boxed{12\ 345} \quad \boxed{12\ 458}$$

$$\boxed{12\ 341} \quad \boxed{1\ 234} \quad \boxed{435}$$

$$3\ 003 \quad \boxed{8\ 345} \quad \boxed{11\ 456}$$

4

რომელი რიცხვი უნდა იყოს ფერადი უჯრების აღვილას?

$$251\ 044 = 200\ 000 + \boxed{} + 1\ 000 + 0 + 40 + 4$$

$$137\ 688 = 100\ 000 + 30\ 000 + \boxed{} + 600 + 80 + 8$$

$$54\ 307 = 50\ 000 + 4\ 000 + 300 + \boxed{} + 7$$

5

რომელი წესითაა რიცხვები დალაგებული? ამ წესის მიხედვით განსაზღვრეთ და დაწერეთ ფერადი უჯრების აღვილას ჩასაწერი რიცხვები.

   , 7 889, 7 989, 8 089,   , 

   , 2 120, 2 121, 2 122,   , 

   , 10 000, 10 002, 10 004,   , 

6

მაციფრის ფასი ბინის ფასის მაჩვენებელი რიცხვის ასეულების თანრიგში არსებული ციფრის მნიშვნელობის ნახევრის ტოლია. რამდენი მანეთი ღირს მაციფარი, თუ ბინის ფასი ას თცდახუთი ათას რგაასი მანეთია?

7

8 075 რიცხვის ასეულებამდე დამრგვალებისას მიღებული რიცხვის შესახებ გამოთქმული მოსაზრებებიდან რომელია არასწორი?

ა) ციფრების ჯამი 9-ის ტოლია გ) ოთხნიშნა ლუწი რიცხვია

ბ) 8 075-ზე მეტი დ) იკითხება როგორც “რგა ათას ათი”

8

1) დაწერეთ 4, 2, 7, 3 ციფრებიდან თითოეულის ერთხელ გამოყენებით ასეულებამდე დამრგვალებისას 4 300-ის მომცემი რიცხვები.

2) დაწერეთ 1, 2, 5, 6 ციფრებიდან თითოეულის ერთხელ გამოყენებით 5 000-ზე მეტი, 7 000-ზე ნაკლები რიცხვები და დაალაგეთ კლების რიგის მიხედვით.

1 000 000-ის ფარგლებში შეკრება და გამოკლება

მრგვალ რიცხვებზე შეკრება და გამოკლება

1

გამოიანგარიშეთ ზეპირად.

$$8000 \\ 7200 + 1800 = 9000 \\ \hline 1000 \qquad\qquad\qquad 8000+1000$$

$$7200 + 1800$$

$$8600 + 2400$$

$$7300 + 1700$$

$$14500 + 500$$

$$4100 + 900$$

$$5600 + 1600$$

$$8200 + 1800$$

$$15300 + 14700$$

2

ფერად უჯრებში ჩაწერეთ შესაბამისი რიცხვები.

$$9100 - \square = 8400$$

$$60000 + \square = 100000$$

$$9100 - \square = 9010$$

$$66000 + \square = 100000$$


$$9100 - \square = 9025$$

$$61000 + \square = 100000$$

3

ამოხსენით ამოცანა სურათზე მოცემული ინფორმაციის მიხედვით.

ასელი სახლიდან გავიდა და სამაისთან თვალში დარჩენილი წიგნის აღების შემდეგ სკოლაში მივიდა. იპოვეთ ასელის გავლილი გზის სიგრძე.



4

შეკრების დაჯგუფებისა და გადანაცვლებადობის თვისებების გამოყენებით მარტივი ხერხით გამოიანგარიშეთ.

$$450 + 570 + 550$$

$$4200 + 3300 + 700$$

$$3200 + 2500 + 800$$

$$10100 + 5000 + 900$$


$$6500 + 3500 + 20000$$

$$1600 + 300 + 1400$$

5

განსაზღვრეთ რიცხვით ღერძზე ასოების შესაბამისი რიცხვები და შეასრულეთ მოქმედებები.

$$A + D$$



$$E + B$$

$$C - B$$

$$D - C$$

$$100\,000$$

$$320\,000$$

6

ათასეულებამდე დამრგვალებით დაანლოებით გამოიანგარიშეთ.

$$2345 + 3650$$

$$7810 - 4287$$

$$17456 + 7645$$

$$1905 + 2018$$

$$5079 - 1200$$

$$28450 - 14568$$

$$4003 + 6096$$

$$6905 - 2089$$

$$32478 + 2098$$

1 000 000-ის ფარგლებში შეკრება და გამოკლება

მრგვალ რიცხვებზე შეკრება და გამოკლება

1

გამოიანგარიშეთ ზეპირად.

$$2\ 344 + 1$$

$$8\ 000 - 1$$

$$7\ 000 - 10$$

$$2\ 344 + 10$$

$$8\ 000 - 10$$

$$7\ 000 - 100$$

$$2\ 344 + 100$$

$$8\ 000 - 100$$

$$7\ 000 - 1\ 000$$

$$2\ 344 + 1\ 000$$

$$8\ 000 - 1\ 000$$

$$7\ 000 - 3\ 000$$

2

ძია საბირს ავტომობილის შეძენა სურს. მან ნანახი ავტომობილებიდან ორი მოიწონა: 28 580 მანეთად დირებული ახალი და 19 230 მანეთად ღირებული ნახმარი ავტომობილი.

1) დაამრგვალეთ ავტომობილების ფასები ათასეულებამდე.

2) დაახლოებით რამდენი მანეთის ეკონომიას გააკეთებს ძია საბირი, თუ ის ნახმარ მანქანას შეიძენს?

3

გამოიანგარიშეთ.

$$70\ 000 - (1\ 200 + 800)$$

$$400 \cdot 6 + (14\ 000 + 10\ 000)$$

$$6\ 400 - 1\ 300 + 200$$

$$50 \cdot 5 \cdot 10 - 400 + 1\ 600$$

$$370\ 000 + 300 - 6\ 000$$

$$48\ 000 - 1\ 200 : 2$$

4

იბოვეთ ფერადი უჯრების ადგილას ჩასაწერი რიცხვები.

$$7\ 530 - \boxed{} = 7\ 300$$

$$440\ 000 - \boxed{} = 230\ 000$$

$$\boxed{} - 2 = 9\ 998$$

$$\boxed{} - 7\ 000 = 3\ 000$$

$$\boxed{} + 4 = 3\ 000$$

$$\boxed{} + 250\ 000 = 450\ 000$$

5

მდინარე ნილოსი მსოფლიოს უდიდესი მდინარეა. მისი სიგრძე 6 ათას 650 კმ-ია. მსოფლიოს მეორე ყველაზე გრძელი მდინარე, ამაზონის სიგრძე კი 6 ათას 400 კმ-ია. რამდენი კილომეტრით გრძელია მდინარე ნილოსი მდინარე ამაზონთან შედარებით?

6

ნიმუშის შესაბამისად გამოიანგარიშეთ ჯამი და სხვაობა. მაგალითების ერთი სვეტიც თქვენ დაამატეთ.

$$2475 + 999 \rightarrow \begin{array}{r} 2475 \\[-1ex] + 1000 \\ \hline 3474 \end{array}$$

$$2475 + 999$$

$$3250 + 199$$

$$2001 + 299$$

$$7\ 000 - 2\ 999 \rightarrow \begin{array}{r} 7\ 000 \\[-1ex] - 3\ 000 \\ \hline 4\ 000 \end{array} \rightarrow \begin{array}{r} 4\ 000 \\[-1ex] + 1 \\ \hline 4\ 001 \end{array}$$

$$7\ 000 - 2\ 999$$

$$12\ 000 - 999$$

$$14\ 500 - 499$$

1 000 000-ის ფარგლებში შეკრება და გამოკლება

მრავალნიშნა რიცხვების შეკრება

ქვეშმიწერით შეკრება

რიცხვების ქვეშმიწერით შეკრებისათვის
შესაბამისი თანრიგის ერთეულების ერთ-
მანეთის ქვეშ ჩაწერა და შეკრების მოქ-
მედების შესრულებაა საჭირო. რამდენიმე
რიცხვის ქვეშმიწერით შეკრებაც შეიძლება.

1.	$\begin{array}{r} 1 \\ 53832 \\ + 549 \\ \hline 54381 \end{array}$	2. $\frac{212}{3678}$ + 2665 847 <hr/> 7190
----	--	--

1

გამოიანგარიშეთ ქვეშმიწერით.

$4\ 587 + 247$

$20\ 079 + 1\ 897$

$4\ 578 + 100\ 784$

$98 + 1\ 524$

$4\ 786 + 25\ 687$

$20\ 095 + 26\ 800$

$2\ 302 + 1\ 769$

$507 + 15\ 872$

$35\ 671 + 28\ 476$

2

გამოიანგარიშეთ ქვეშმიწერით.

$4\ 675 + 145 + 65$

$56\ 723 + 48 + 287 + 1540$

$67\ 812 + 2\ 456 + 346$

$14\ 543 + 175 + 4322 + 36$

$14\ 544 + 2\ 046 + 3\ 267$

$2\ 812 + 814 + 5 + 56\ 432$

3

ნიმუშების ჩაწერით განმარტეთ, რომ ქვემოთ მოცემული მოსაზრებები ყოველთვის ჭეშმარიტი არ არის.

- ორი სამნიშნა რიცხვის ჯამი ყოველთვის სამნიშნა რიცხვი უნდა იყოს.
- ორი ოთხნიშნა რიცხვის ჯამი ყოველთვის ხუთნიშნა რიცხვი უნდა იყოს.

4

ბიბლიოთეკაში 457 203 წიგნი იყო. წლის განმავლობაში 74 ლექსიკონი, 2250 რომანი და 553 ლექსიბის წიგნი მიიღეს. სულ რამდენი წიგნია ბიბლიოთეკაში?

5

ნიმუშის შესაბამისად ორი ხერხით გამოიანგარიშეთ. 1) ერთი და იმავე ერთეულებში გადაყვანით; 2) ქვეშმიწერით.

1) $12\ გ\ 455\ გ + 7\ გ\ 735\ გ = 12\ 455\ გ + 7\ 735\ გ =$
 $= 20\ 190\ გ = 20\ გ\ 190\ გ$

2)
$$\begin{array}{r} 12\ გ\ 455\ გ \\ + 7\ გ\ 735\ გ \\ \hline 19\ გ\ 1190\ გ \\ \downarrow \\ 20\ გ\ 190\ გ \end{array}$$

$34\ გ\ 325\ გ + 17\ გ\ 918\ გ$
 $25\ გ\ 450\ გ + 18\ გ\ 300\ გ$

$18\ გ\ 35\ ს + 25\ გ\ 48\ ს$

$12\ გ\ 650\ გ + 36\ გ\ 500\ გ$

1 000 000-ის ფარგლებში შეკრება და გამოკლება

ქვეშმიწერით გამოკლება

$$\begin{array}{r}
 \text{ქვეშმიწერით გამოკლების მოქმედების შესრულებისათვის} \\
 \text{შესაბამისი თანრიცის ერთეულების ერთმანეთის ქვეშ} \\
 \text{ჩაწერა და გამოკლების მოქმედების შესრულებაა საჭირო.} \\
 \hline
 & \text{14} & \text{11} & \text{14} \\
 & 245 & 134 & \\
 - & 127 & 329 & \\
 \hline
 & 117 & 805 &
 \end{array}$$

1

ჯერ ამოხსენით ის მაგალითები, რომლების სხვაობაშიც სამნიშნა რიცხვები მიიღება.

4 994 – 564	20 253 – 19 592	50 000 – 49 781
1 564 – 99	12 043 – 7 777	4 000 – 879
5 407 – 1 256	376 001 – 4 548	12 000 – 8 548


2

საგონცერტო დარბაზი 2075 მაყურებელს იტევს. დღეს საღამოს კონცერტზე 1928 ბილეთიანი და 87 სპეციალურად მოწვეული მაყურებელია. დარბაზი მაყურებლებით სულ სავსეა?

3

შეასრულეთ დავალებები ბარგრაფის მიხედვით.

- 1) რამდენით აღემატება №-2 და №-3 სკოლების მოსწავლეების საერთო რაოდენობა №-8 სკოლის მოსწავლეთა რაოდენობას?
- 2) რამდენითა ნაკლები №-6 სკოლის მოსწავლეთა რაოდენობის მაჩვენებელი რიცხვი უმცირეს თოხნიშნა რიცხვზე?
- 3) ბარგრაფის მიხედვით შეადგინეთ ორი ამოცანა.



4

გამოანგარიშებეთ შეგიძლიათ შეასრულოთ ზეპირად, ქვეშმიწერით ან კალკულატორის დახმარებით. თითოეული მაგალითის წინ არჩეული ხერხის პირველი ასოები (ზ, ქ, კ) დაწერეთ.

6 435 – 4 000	3 025 – 1 826	467 + 584	3 774 + 18 309
---------------	---------------	-----------	----------------

7 216 – 4 116	903 – 468	14 952 – 3 450	6 523 – 2 045
---------------	-----------	----------------	---------------

1 000 000-ის ფარგლებში შეკრება და გამოკლება

1

ჯერ ამონსენთ ის მაგალითები, რომელთა პასუხებშიც ლუწი რიცხვები მიიღება.

$$3\ 000 - 1\ 999$$

$$2\ 345 + 4\ 560$$

$$4\ 378 - 1\ 029$$

$$6\ 500 - 3\ 274$$

$$10\ 051 + 499$$

$$1\ 605 + 796$$

$$4\ 000 - 2\ 305$$

$$2\ 843 + 765$$

$$2\ 317 + 487$$

2

ნეზრინი და მისი ძმა 1 000 მ-ის სიმაღლეზე არსებული მთის მწვერვალზე საბაგირო გზით ადიან. კაბინა, რომელშიც ისინი სხედან, ამ გზის 713 მ-ის სიმაღლეზეა. რამდენი მეტრი გზა დარჩა მწვერვალამდე?

3

10 000-მდე შევსებით, ზეპირად გამოიანგარიშეთ.

$$\begin{array}{r} 9\ 996, 10\ 000, 10\ 004 \\ +4 \quad +4 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 10003, 10\ 000, 9996 \\ -3 \quad -4 \\ \hline \end{array}$$

$$9\ 996 + 8$$

$$10\ 003 - 7$$

$$9\ 975 + 27$$

$$9\ 994 + 7$$

$$10\ 007 - 9$$

$$9\ 976 + 29$$

$$9\ 995 + 9$$

$$10\ 004 - 8$$

$$10\ 016 - 19$$

4

ეროვნული პარკიდან შაბათს 1457, კვირას კი 645 პრი გემით ზღვაზე სასეირნოდ გავიდა. ორშაბათს ზღვაზე გამსვლელთა რაოდენობა 3-ჯერ ნაკლები იყო, გიდრე კვირას. რამდენმა ადამიანმა გაისეირნა გემით 3 დღის განმავლობაში?

5

მყიდველმა ავეჯის კომპლექტის ფასი 15 ცალი ქადალდის ფულით გდაიხადა. თუ ავეჯის ფასი 1075 მანეთია, მაშინ განსაზღვრეთ, ეს თანხა რომელი ქადალდის ფულით გადაიხადეს. არჩევა-შემოწმებით ამონსენით.

6

განსაზღვრეთ ფერადი უჯრების ადგილას ჩასაწერი რიცხვები.

$$\begin{array}{r} 9\square 4 \\ + 2\ 9\ 5 \\ \hline 12\ 7\ 9 \end{array} \qquad \begin{array}{r} 9\ 405 \\ - \square 817 \\ \hline 6\square\square \end{array} \qquad \begin{array}{r} 1\ 235 \\ - 42\square \\ \hline \square\square 08 \end{array} \qquad \begin{array}{r} 4\ 444 \\ + \square 45 \\ \hline \square 2\square \end{array} \qquad \begin{array}{r} 9\ 000 \\ - \square\square\square \\ \hline 2\ 3\ 4 \end{array}$$

7

დაწერეთ მოცემული მოსაზრებების შესაბამისი ცვლადიანი გამოსახულებები. აღნიშნეთ, რომელ სიდიდეს აღნიშნავთ ცვლადით.

1) აიშემ საბანკო ანგარიშზე არსებული ფულიდან 183 მანეთი აიღო.

გამოსახეთ აიშეს დარჩენილი თანხა.

2) თაპირმა წიგნის 24 გვერდიც დღეს წაიკითხა. გამოსახეთ თაპირის მიერ წაკითხული გვერდების საერთო რაოდენობა.

1 000 000-ის ფარგლებში შეკრება და გამოკლება

1

იძოვეთ გამოსახულების მნიშვნელობა.

$$1\ 256 - (347 + 127)$$

$$256 \cdot 8 - 1\ 567$$

$$(3\ 500 + 7\ 200) - 1\ 800$$

$$444 \cdot 2 + 328$$

2

$$10\ 500 - 8\ 600 - 1\ 750$$

$$345 : 3 + 1\ 425$$

განმარტეთ საკლებისა და მაკლების ცელილების მიხედვით სწორის ცვლილება.

$$10\ 200 - 200$$

$$14\ 500 - 1\ 300$$

$$10\ 500 - 200$$

$$14\ 500 - 1\ 580$$

$$11\ 700 - 200$$

$$14\ 500 - 1\ 750$$

$$12\ 100 - 200$$

$$14\ 500 - 2\ 200$$

3

აიდინის მამა ყოველთვიურად 600 მანეთ, დედა კი 450 მანეთ ხელფასს იღებს. ისინი ოვეში 170 მანეთს ბაზმვების განათლებას, 2-ჯერ მეტს კვებას, 85 მანეთს კომუნალურ მომსახურებას, 120 მანეთს ტრანსპორტს, 100 მანეთს კი სხვა საქმეებს ახმარებ. რა თანხა რჩება ყოველთვიურად ოჯახის ბიუჯეტში ყველა ამ ხარჯის შემდეგ აიდინის ოჯახს?

4

ქუჩის ორივე მხარეს ერთი და იგივე რაოდენობის ხე დგას. ქუჩის ერთ მხარეს მდგარი ხეების მარჯვნიდან მარცხნიდან მარცვნივ დათვლისას ერთი ხე ყოველთვის 107-ეა. სულ რამდენი ხე დგას ამ ქუჩაზე?

5

გამოიანგარიშეთ გამოსახულებების მნიშვნელობა ცვლადების მოცემული მნიშვნელობისათვის.

$$1) n + 2\ 421$$

$$2) m - 234$$

$$n = 4\ 001; 4\ 011; 4\ 111$$

$$m = 2\ 004; 2\ 014; 2\ 114$$

6

განსაზღვრეთ $13\ 649 - (1\ 734 + 2\ 416) > \boxed{}$ შედარებაში $\boxed{}$ -ის ადგილას შესაძლო ჩასატერი უდიდესი ნატურალური რიცხვი. (თუ მოხერხდა!).

7

გამოიანგარიშეთ.

$$14 \text{ კმ } 345 \text{ მ} - 5 \text{ კმ } 125 \text{ მ}$$

$$25 \text{ ლ} 350 \text{ მლ} - 12 \text{ ლ} 325 \text{ მლ}$$

$$9 \text{ კგ } 500 \text{ გ} - 4 \text{ კგ } 900 \text{ გ}$$

$$20 \text{ კგ } 500 \text{ გრ} - 3 \text{ კგ } 750 \text{ გრ}$$

8

რკინიგზის 35 კმ 550 მ-იან მონაკვეთზე სარემონტო-აღდგენითი სამუშაოებიდან ჩასატარებელი, 65 კმ 225 მ-იანი ნაწილი კი ხელახლაა ასაშენებელი. დანარჩენი ნაწილი საექსპლუატაციოდ ვარგისია. რკინიგზის რამდენი კილომეტრია გარგისი, თუ რკინიგზის საერთო სიგრძე 550 კმ 450 მ-ია?

განმაზოგადებელი დავალებები

1

იპოვეთ 7, 3, 4, 6 ციფრებისაგან თითოეულის ერთხელ გამოყენებით დაწერილ უდიდეს და უმცირეს ოთხნიშნა რიცხვებს შორის სხვაობა.

2

იპოვეთ გამოსახულებების მნიშვნელობა.

1) $4\ 000 + 65\ 500 - 20\ 000$

3) $55\ 000 + 6\ 000 - 24\ 000$

2) $20\ 000 - 8\ 500 - 6\ 000$

4) $50\ 000 - 8\ 000 - 600$

3

რაიონების მოსახლეობის რაოდენობა გამოსახუთ შესაბამისი სურათებით.

იარდიმლი: 62 400

ზაქათალა: 123 400



- 100 000



- 1 000

სალიანი: 129 800

ლენქორანი: 218 200



- 10 000



- 100

ზერდაბა: 55 800

თოვეზი: 166 300



4

სკოლის 90 წლისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე მონაწილეობის მისაღებად სტუმრებისათვის 320 ცალი ერთკაციანი და 560 ცალი ორკაციანი მოსაწმევი იქნა გაფხაფნილი. რამდენი სტუმარი მოიწვიეს დონისძიებაზე?

5

ამოხსენით განტოლებები შეკრებისა და გამოკლების ურთიერთკავშირის გამოყენებით.

1) $a + 347 = 1\ 000$

2) $2\ 347 - b = 1\ 082$

3) $c - 871 = 2\ 145$

6

გამოიანგარიშეთ.

27 გმ 365 გ + 9 გმ 400 გ

127 მან. 65 კაპ. + 98 მან. 45 კაპ.

18 გმ 455 გ - 7 გმ 220 გ

208 მან. 55 კაპ. - 115 მან. 80 კაპ.

9 ტ 550 გგ - 2 ტ 800 გგ

450 მან. 80 კაპ. - 2 მან. 90 კაპ.

5 ტ - 455 გგ

9 მან. 25 კაპ. - 3 მან. 45 კაპ.

7

შეასრულეთ მოქმედებები, ჯერ რიცხვების ათეულებამდე დამრგვალებით, შემდეგ კი ასეულებამდე დამრგვალებით. ამ შედეგებიდან თითოეული შეადარეთ ზუსტ შედეგს.

1) $4\ 968 - 3\ 212$

3) $2\ 738 - 1\ 273$

5) $316 + 7\ 086$

2) $26\ 571 - 14\ 347$

4) $2\ 346 + 1\ 928$

6) $1\ 912 + 3\ 478$

განმაზოგადებელი დავალებები

1

ჯამი ჯერ დაახლოებით, შემდეგ კი ზუსტად გამოიანგარიშეთ. შედეგები შეადარეთ.

$$211 + 347 + 456$$

$$12\ 496 + 84\ 500 + 30\ 000$$

$$1\ 345 + 2\ 456 + 8\ 500$$

$$16\ 219 + 1\ 327 + 5\ 600$$

$$4\ 878 + 624 + 175$$

$$10\ 500 + 7\ 600 + 90\ 000$$

2

ხუთზე უნაშთოდ გასაყოფი 3 სხვადასხვა თრნიშნა რიცხვის ჯამი 230-ია. ამ რიცხვებიდან უმცირესი, სულ მცირე რამდენი შეიძლება იყოს?

3

ქვემოთ მოცემული ტოლობებიდან რომელია არასწორი? მოსაზრებები წერითი გამოანგარიშების წარმოებით წარმოადგინეთ. რომელი წესები გეხმარებათ?

$$4\ 567 + 5\ 200 = 4\ 557 + 5\ 210$$

$$48 \cdot 2 = 24 \cdot 6$$

$$3\ 450 + 2\ 555 = 4\ 450 + 3\ 555$$

$$24 : 4 = 12 : 2$$

$$4\ 235 - 3\ 475 = 4\ 335 - 3\ 575$$


$$100 : 4 = 50 : 2$$

4


ცნობილი აზერბაიჯანელი პოეტების დაბადებისა და გარდაცვალების თარიღების შესახებ ინფორმაცია სურათების ქვემოთაა მოცემული. ამოხსენით ამ მონაცემების საფუძველზე შედგენილი ამოცანები.



მირზა ჟლექებერ საბირი
1862-1911



სემედ გურდუნი
1906-1956



აბდულლა შაიგი
1881-1959

- 1) რამდენი წლისა იყო მირზა ჟლექებერ საბირი, როცა სემედ გურდუნი იყო 5 წლის?
- 2) რომელ წელს იყო სემედ გურდუნის 90 წლის იუბილე?
- 3) მირზა ჟლექებერ საბირის 70 წლის იუბილის დროს, რამდენი წლისა იყო აბდულლა შაიგი?

5

აინურამ $1\ 456 + 9\ 087$ ჯამის კალკულატორზე გაანგარიშებისას “0” დილაგის ნაცვლად “1” დილაგს დააჭირა. შედეგი მოცემული ჯამიდან რამდენით იქნება განსხვავებული?

ჯამის მინიჭებულების ამოცანების ამონენა მსჯელობის გზით

1

შეისწავლეთ პირველი ამოცანის ამონენა და ამონენით მე-2 ამოცანა.

1) ორი სხვადასხვა სამნიშნა რიცხვის ჯამი 652-ია. ამ რიცხვებიდან უდიდესი რამდენი შეიძლება იყოს?

რა არის ცნობილი? - ორი რიცხვის ჯამი 652-ია;

- ორივე რიცხვი სამნიშნაა;

- ეს რიცხვები სხვადასხვაა.

რა უნდა ვიპოვო? ამ რიცხვებიდან უდიდესი.

გეგმა: თუ ორი რიცხვის ჯამი მოცემულია, იმისათვის რომ ამ

რიცხვებიდან ერთი იყოს უდიდესი, მეორე შეძლებისდაგვარად მცირე უნდა იყოს. უმცირესი სამნიშნა რიცხვი 100-ია. მეორე რიცხვის მოსაძენად 652-ს უნდა გამოვაკლოთ 100.

ამონენა: $652 - 100 = 552$.

პასუხი: ამ ორი რიცხვიდან უდიდესი შეიძლება იყოს 552.

2) ორი სხვადასხვა ოთხნიშნა რიცხვის ჯამი 5324-ია. რას შეიძლება უდრიდეს ამ რიცხვებიდან უდიდესი?

3) შესაბამისი ერთი ამოცანაც თქვენ შეადგინეთ. ჯამის მაჩვენებელი რიცხვის შერჩევისას ყურადღებით იყავით.

2

1) სამი განსხვავებული ოთხნიშნა რიცხვის ჯამი 22 531-ია. რისი ტოლი შეიძლება იყოს ამ რიცხვებიდან უმცირესი? მითითება: ამ რიცხვებიდან ერთი უმცირესი რომ იყოს, დანარჩენი ორი შეძლებისდაგვარად მეტი უნდა იყოს. ამ შემთხვევაში შესაძლო უდიდესი ორი ოთხნიშნა რიცხვია 9 999 და 9 998.

2) სამი განსხვავებული ოთხნიშნა რიცხვის ჯამი 3 452-ია. რისი ტოლი შეიძლება იყოს ამ რიცხვებიდან უდიდესი?

3

ესლის, ესმერს და აიდინს ერთად 670 მანეთი აქვთ. თითოეულ მათგანს 100 მანეთზე მეტი (ქაღალდის ფული) განსხვავებული რაოდენობის ფული აქვს. ყველაზე მეტი ფული აიდინს აქვს. ყველაზე მეტი, რამდენი მანეთი შეიძლება ჰქონდეს აიდინს?

4

ფერმანის მიერ 3 დღის განმავლობაში საკონსერვო ქარხანაში ჩაბარებული პომიდორის მინედვით ყოველდღიურად მიღებული ფული 500 მანეთზე მეტი არ ყოფილა. თუ ფერმანს 3 დღის განმავლობაში სულ 1 200 მანეთი აუღია, ერთ დღეს აღებული ფული სულ მცირე რამდენი მანეთი (ქაღალდის ფული) შეიძლება იყოს?

ამოცანების ამოხსნა. მთელი - ნაწილი მოდელი

ჯამისა და სხვაობის მიხედვით უცნობების მოძებნა

ამოცანა; სკოლაში 916 მოსწავლეა. გოგონების რაოდენობა ბიჭების რაოდენობაზე 18-ით მეტია. რამდენი ბიჭი და რამდენი გოგონაა სკოლაში? მთელი-ნაწილი მოდელის დახაზვის ნაბიჯები:

მთელი-მოსწავლების საერთო რაოდენობა
ნაწილები- გოგონების რაოდენობა, ბიჭების
რაოდენობა

1. ბიჭებს რაოდენობა ერთი მართვულებით
(უჯრით) აღინიშნება.

$$\begin{array}{r}
 \text{ბიჭების} \\
 \text{რაოდენობა} \\
 \text{გოგონების} \\
 \text{რაოდენობა}
 \end{array}
 + 18 = 916$$

2. გოგონების რაოდენობა 18-ით მეტია.

სხვა სიტყვებით, გოგონების რაოდენობა ბიჭების რაოდენობის ტოლი (ერთი მართკუთხედი) მიგუმატოთ 18-ია.

3. გოგონებისა და ბიჭების რაოდენობის მაჩვენებელი ნაწილების დიდ ფრჩხილებში ჩასმით მოსწავლეების საერთო რაოდენობა (სრული) იწერება.

მთელი ნაწილი მოდელის მიხედვით ამოცანის ამონენა: თუ მოსწავლეთა საერთო რაოდენობას 18-ს გამოგებალებთ, გოგონების და ბიჭების რაოდენობა გატოლდება.

916 – 18 = 898 რცხვი თრი ტოლი ნაწილის რცხვის (თითოეული ბიჭების რაოდენობის ტოლი) ჯამს გვიჩვენებს.

$$\text{ბიჭების რაოდენობა: } 898 : 2 = 449 \quad \text{გთვალისწინების რაოდენობა: } 449 + 18$$

შემოწმება: $449 + 467 = 916$

1 დღის განმავლობაში მაღაზიაში გაყიდული ტელევიზორისა და კომპიუტერის ნაწილების საერთო რაოდენობა 56-ია. კომპიუტერის ნაწილების რაოდენობა ტელევიზორის ნაწილებზე 12-ით მეტი იყო. რამდენი კომპიუტერის დეტალი გაიყიდა?

2 ნერმინე და აითენი წიგნებს კითხულობენ. ამ ორი წიგნის გვერდების ჯამი 596-ია. ნერმინეს წიგნის გვერდების რაოდენობა აითენის წიგნის გვერდების რაოდენობაზე 16 გვერდით მეტია. რამდენი გვერდია თითოეული მათგანის წიგნში?

3 1) ერთ ოჯახში მამისა და შვილის ასაკის ჯამი 65 წელია. მამა შვილზე 35 წლით უფროსია. რამდენი წლისაა შვილი?

2) სამირის, მამამისისა და პაპამისის ასაკის ჯამი 131 წელია. სამირის მამა
პაპაზე 35 წლით უმცროსია, სამირზე კი 30 წლით უფროსია. რამდენი
წლისად სამირის პაპა?

4 შეადგინეთ ამოცანა მთელი - ნაწილი მოდელის
შესაბამისად.

მოდელი ამოცანის შესაბამისად დაასრულეთ.

ამოცანების ამონია. მთელი – ნაწილი მოდელი

ამოცანები მიმდევრობით მოცემული რიცხვების ჯამის შესახებ
მიმდევრობით მოცემული ლურჯი რიცხვებიდან თითოეული მის წინამდებარებულ
2 ერთეულით მეტია.

ამოცანა: სამი მიმდევრობით მოცემული ლურჯი რიცხვის ჯამი 756-ია.
რომელი რიცხვებია ისინი?

1) მთელი: სამი რიცხვის ჯამი – 756

ნაწილები: მიმდევრობით მოცემული სამი ლურჯი რიცხვი
გამოვსახოთ ეს რიცხვები 1-ლი რიცხვით.

1. 2. 3.

1-ლი რიცხვი 1-ლი რიცხვი + 2 1-ლი რიცხვი + 2 + 2

მთელი-ნაწილი მოდელის მიხედვით ამოცანის ამონია: მე-2 რიცხვი

ამოცანის შესაბამისი

მთელი-ნაწილი მოდელი

1-ლი რიცხვი ?

?

?

+ 2

756

2) თუ ჯამს მე-2 და მე-3 რიცხვების შესაბამის

ნაწილებს გამოგაკლებთ, სამივე რიცხვი
ტოლი იქნება.

$$756 - 6 = 750$$

3) 1-ლი რიცხვი: $750 : 3 = 250$

$$\text{მე-2 რიცხვი } 250 + 2 = 252, \text{ მე-3 რიცხვი } 252 + 2 = 254$$

4) ეს რიცხვებია: 250, 252, 254

$$\text{შემოწმება: } 250 + 252 + 254 = 756$$

მე-3 რიცხვი ? + 2 + 2

1 სამი ერთმანეთის მომდევნო პენტი რიცხვის ჯამი 327-ია. იპოვეთ ამ
რიცხვებიდან უმცირესი.

2 სამი ერთმანეთისაგან ასაკში 3 წელიწადი განსხვავების მქონე ძმების ასაკის
ჯამი 33 წელია. რამდენი წლისაა უფროსი ძმა?

3 საერთო-სახალხო დღესასწაულისათვის ტორტის გამზადებაზე 246 კვერცხი
გამოიყენეს. ტორტის ყველაზე ქვედა ფენიდან დაწყებული ყოველ
მომდევნო ფენაში წინასთან შედარებით 20 ცალით ნაკლები კვერცხი
გამოიყენეს. რამდენი კვერცხი გამოიყენეს ამ სამფენოგანი ტორტის ყველაზე
ქვედა ფენაში?

4 მაღაზიაში 4 დღის განმავლობაში ჩატარებული გაყიდვის კამპანიაში
2 მცირებულოვან ბაგშვიან ოჯახს გელოსიპედი ნახევარ ფასში მიეყიდა.
ყოველ მომდევნო დღეს წინა დღესთან შედარებით 10-ით მეტის პირობით
მთლიანობაში კამპანიის მანძილზე 440 გელოსიპედი გაიყიდა.

ა) რამდენი გელოსიპედი გაიყიდა კამპანიის პირველ დღეს?

ბ) მიმდევრობით დაწერეთ 4 დღეში გაყიდული გელოსიპედების
რაოდენობის მაჩვენებელი რიცხვები.

5 ორი რიცხვის ჯამი 346-ის, სხვაობა კი 56-ის ტოლია. იპოვეთ ეს
რიცხვები.

ამოცანების ამონიკა. მთელი – ნაწილი მოდელი


შედარების ამოცანები. ...ჯერ მეტი, ...ჯერ ნაკლები

ამოცანა: პაპისა და შვილიშვილის ასაკის ჯამი 80 წელია. პაპის ასაკი შვილიშვილის ასაკზე 4-ჯერ მეტია. რამდენი წლისაა პაპი და რამდენის შვილიშვილი?

მთელი: პაპისა და შვილიშვილის ასაკის ჯამი: 80

ნაწილები: პაპის ასაკი 4 ნაწილი, შვილიშვილის ასაკი 1 ნაწილი.

მთელი-ნაწილი მოდელი:



მთელი-ნაწილი მოდელიდან ჩანს, რომ მთელი, შვილიშვილის ასაკის 5 ტოლი ნაწილისაგან შედგება. თუ 80-ს გაგეოთ 5-ზე-ერთი ნაწილის, შვილიშვილის ასაკს ვითვით.

$$1) \quad 80 : 5 = 16 \text{ (შვილიშვილის ასაკი)} \qquad 2) \quad 16 \times 4 = 64 \text{ (პაპის ასაკი)}$$

$$\text{შემოწმება: } 16 + 64 = 80$$

1

ბაღში მსხლისა და ვაშლის ხეების რაოდენობა ერთად 56-ია. ვაშლის ხეების რაოდენობა მსხლის ხეების რაოდენობაზე 3-ჯერ მეტია. რამდენი მსხლის ხე დგას ბაღში?

2

ორი რიცხვის ჯამი 324-ია. რიცხვებიდან ერთი მეორეზე 5-ჯერ ნაკლებია. იძოვეთ ეს რიცხვები.

3



თეატრში მაყურებელთა შორის 457 ქალი და ბავშვია. თუ ქალების რაოდენობას 2-ჯერ გაზრდით და 10-ს მიუმატებთ, მიიღებთ ბავშვების რაოდენობას. რამდენი ბავშვია მაყურებელთა შორის?

4

ქალბატონმა ნაჯიბემ ნოვრუზის დღესასწაულზე სულ 183 ფუნთუშა და შაქარბურა გამოაცხო. ფუნთუშების რაოდენობა შაქარბურას რაოდენობაზე 2-ჯერ ნაკლები იყო. რამდენი ფუნთუშა და რამდენი შაქარბურა გამოაცხო ქალბატონმა ნაჯიბემ დღესასწაულზე?

5

ჩაწერეთ მთელი-ნაწილი მოდელის მიხედვით ამოცანის ტექსტი და ამონიკით.




განმაზობრებელი დავალებები

1

ბარგრაფში მოცემულია ათასეულებამდე დამრგვალებული ზოგიერთი რაიონის მოსახლეობის დაახლოებითი რაოდენობა.

ბარგრაფის მიხედვით ქვემოთ მოცემულ შეკვთხებს გაეცით პასუხი.



- 1) დაახლოებით რამდენია ბარგრაფში ნაჩვენებ რაიონებში მოსახლეობის საერთო რაოდენობა?
- 2) ამ რაიონებში მოსახლეობის რაოდენობის შესახებ გამოთქმული ქვემოთ მოცემული მოსაზრებებიდან რომელია მცდარი?
- ა) ბარგრაფში ნაჩვენებ რაიონებში მოსახლეობის საერთო რაოდენობა დაახლოებით 250 ათასი კაცია.
- ბ) თბილისი და დამჭერენის რაიონების მოსახლეობის საერთო რაოდენობა, გუსარის რაიონის მოსახლეობაზე ნაკლებია.
- გ) ქანისა და უჯარის რაიონებში მაცხოვნებელი მოსახლეობის რაოდენობა ერთად 140 ათას კაცზე ნაკლებია.

წყვილებში სამუშაო.

2

დაუსვით ერთმანეთს ასეთი კითხვები:

- 1) მიმდევრობით მოცემული ორი ლუწი რიცხვის ჯამი 402-ია. რომელი რიცხვებია?
- 2) მიმდევრობით მოცემული სამი კენტი რიცხვის ჯამი არის 369. რომელი რიცხვებია?

3

სამირის ოჯახის წევრებმა ბაღიდან 4 დღის განმავლობაში 300 კგ ვაშლი მოკრიფეს. ისინი ყოველ მომდევნო დღეს წინა დღესთან შედარებით 20 კგ-ით ნაკლებ ვაშლს კრეფდნენ. დაწერეთ ამ ოჯახის მიერ ყოველდღიურად მოკრეფილი ვაშლის წონის მაჩვენებელი რიცხვების მიმდევრობა.

4

იმოგვეთ გამოსახულების მნიშვნელობა, როცა $a = 10\ 000$.

$$1) a - (348 + 250) : 2$$

$$2) 20\ 000 - (a + 250)$$

განმაზოგადებელი დავალებები

1

იმოგეთ სხვაობა. შესაბამისი ორი მაგალითიც თქვენ დაწერეთ.

$\begin{array}{r} 6336 \\ - 3663 \\ \hline \end{array}$	$\begin{array}{r} 6363 \\ - 3636 \\ \hline \end{array}$	$\begin{array}{r} 4224 \\ - 2442 \\ \hline \end{array}$	$\begin{array}{r} 4242 \\ - 2424 \\ \hline \end{array}$	$\begin{array}{r} 7557 \\ - 5775 \\ \hline \end{array}$	$\begin{array}{r} 7575 \\ - 5757 \\ \hline \end{array}$
---	---	---	---	---	---

2

რომელი ორი რიცხვის აღილების შეცვლით დალაგდება რიცხვები კლების რიგით?

$$54\ 321 > 54\ 132 > 53\ 412 > 52\ 134 > 52\ 413$$

3

შეასრულეთ მოქმედებები.

$$100\ 000 + 14\ 350$$

$$85\ 000 - 3\ 545$$

$$100\ 000 + 2\ 845$$

$$27\ 000 - 1\ 573$$

$$200\ 000 + 236$$

$$43\ 000 - 16\ 028$$

4

რომელი დაახლოებითი ინფორმაციის გამოთქმა უფრო მართებული იქნება?

- ავტობუსში დასაჯდომი აღილების რაოდენობა;
- პარკში სათამაშო ატრაქციონების რაოდენობა;
- პარკში ყვავილების ბუჩქების რაოდენობა.

5

4° , 4° და 4° კლასებში სულ 95 მოსწავლეა. 4° კლასში მოსწავლეთა რაოდენობა 4° კლასში მოსწავლეთა რაოდენობაზე 4-ით მეტია. 4° კლასში მოსწავლეთა რაოდენობა კი 4° კლასში მოსწავლეთა რაოდენობაზე 6-ით მეტია. რამდენი მოსწავლეა 4° კლასში? ამოხსენით მთელი-ნაწილი მოდელით.

6

ცხრილის მიხედვით განსაზღვრეთ a და b ცვლადების ურთიერთკავშირი.

ცხრილი და ჩანაწერი რგეულებში დაასრულეთ.

a	5	120	310		295		150
b	155	270		230	445	183	

$$a = b - \square$$

$$b = a + \square$$

7

ქვემოთ მოცემული გამოსახულებებიდან რომლის მნიშვნელობაა 60 ათასზე მეტი? ზეპირი გაანგარიშებებით შეარჩიეთ. შემდეგ წერითი გაანგარიშებებით არჩევანი შეამოწმეთ.

$$1) 22\ 000 + 56\ 000 - 18\ 000 \quad 3) 100\ 000 - (40\ 000 + 22\ 000)$$

$$2) 100\ 000 - 21\ 000 + 8500 \quad 4) 80\ 000 - 24\ 000 + 3000$$

8

განსაზღვრეთ დრო.

- დამს 03 : 45 საათიდან დღის 13 : 15 საათამდე დროს ხანგრძლივობა;
- 11 : 25-დან 4 საათისა და 35 წუთის შემდგომი დრო.


ბე-2 განვთვილება

რას შეისწალით ამ განვთვილებაში?

- გამრავლების მოქმედების თვისებებს;
- ნამრავლისა და განაყოფის დაახლოებით გამოანგარიშებას;
- ნამრავლისა და განაყოფის ხელსაყრელი ხერხებით გამოანგარიშებას;
- მრავალნიშნა რიცხვებზე გამრავლებისა და გაყოფის მოქმედებების შესრულებას;
- ნაშთიანი გაყოფის მოქმედებების შესრულებას;
- მოძრაობის შესახებ სხვადასხვა ამოცანის ამოხსნას.

$$\begin{array}{r} \text{a) } 0\ 6\ 7 \\ \times \quad 5 \\ \hline 2\ 8\ 5\ 5 \end{array}$$

B28 | 4
თრნიშნა



გამრავლების მოქმედების თვისებები

გამრავლების მოქმედების გადანაცვლებადობის თვისება:

თანამამრავლთა გადანაცვლებით ნამრავლი არ იცვლება.

$$a \cdot b = b \cdot a$$

$$5 \cdot 4 = 4 \cdot 5$$

გამრავლების მოქმედების დაკვეფების თვისება:

მეზობელი თანამამრავლების მათი ნამრავლით შეცვლა შეიძლება.

$$a \cdot b \cdot c = (a \cdot b) \cdot c = a \cdot (b \cdot c)$$

$$2 \cdot 3 \cdot 4 = (2 \cdot 3) \cdot 4 = 6 \cdot 4 = 24 \text{ ან } კიდევ 2 \cdot 3 \cdot 4 = 2 \cdot (3 \cdot 4) = 2 \cdot 12$$

დასკვნა: რამდენიმე რიცხვის ნამრავლის მოძებნისას თანამამრავლების

ადგილის ნებისმიერი წესით შეცვლა და მათი ჯუფთება შეიძლება.

$$2 \cdot 3 \cdot 5 = (2 \cdot 5) \cdot 3 = 10 \cdot 3 = 30$$

1

გამოიანგარიშეთ გამრავლების გადანაცვლებადობისა და ჯუფთების თვისების გამოყენებით.

$$3 \cdot 4 \cdot 5$$

$$8 \cdot 20 \cdot 5$$

$$2 \cdot 16 \cdot 3$$

$$2 \cdot 4 \cdot 3$$

$$4 \cdot 3 \cdot 25$$

$$5 \cdot 2 \cdot 10$$

$$4 \cdot 6 \cdot 5$$

$$2 \cdot 15 \cdot 3$$

$$10 \cdot 9 \cdot 1$$

2

უჯრების ადგილას ჩაწერეთ ისეთი რიცხვები, რომ სწორი ტოლობა მიიღოთ.

$$(3 \cdot \boxed{\quad}) \cdot 4 = 18 \cdot 4 \quad | \quad (7 \cdot \boxed{\quad}) \cdot 4 = 7 \cdot 24 \quad | \quad 6 \cdot (4 \cdot 8) = \boxed{\quad} \cdot 8$$

$$2 \cdot (8 \cdot \boxed{\quad}) = 2 \cdot 8 \quad | \quad 9 \cdot (9 \cdot \boxed{\quad}) = 0 \quad | \quad (\boxed{\quad} \cdot 2) \cdot 16 = 5 \cdot (\boxed{\quad} \cdot 16)$$

3

1-ლი სვეტის მაგალითები ამოხსენით. პასუხებით მე-2 სვეტის მაგალითების ამოხსნისას ისარგებლეთ. განმარტეთ, როგორ გამოიყენეთ გამრავლების მოქმედების გადანაცვლებადობისა და ჯუფთებადობის თვისებები.

$$3 \cdot 47 = 141 \quad 6 \cdot 47 = 2 \cdot 3 \cdot 47 = 2 \cdot (3 \cdot 47) = 2 \cdot 141 = 282$$

$$1) 3 \cdot 47$$

$$6 \cdot 47$$

$$2) 86 \cdot 4$$

მრაცხველი $\rightarrow \frac{7}{10} \leftarrow$ გაშლების რაოდენობა

მნიშვნელი $\rightarrow \frac{7}{10} \leftarrow$ ხილის საერთო რაოდენობა

ხილის $\frac{7}{10}$ (შვიდი მეათედი ნაწილი) გაშლი, $\frac{3}{10}$ (სამი მეათედი ნაწილი) კი ბანანია.

1

ა) ფერადი ნაწილები წრის რა ნაწილს შეადგენენ? ჩაწერეთ წილადის სახით.




ბ) წითელი ფერის ფიგურები ყველა ფიგურის რა ნაწილს შეადგენენ?

ჩაწერეთ წილადის სახით.




2

თითოეული წილადი უჩვენეთ მთელის (ყველასი ან კიდევ საუნების ჯგუფის) ნაწილის სახით.



3

1) ჩაწერეთ ჯერ წითელი, შემდეგ კი თეთრი ფერის ცილინდრების რაოდენობის შესაბამისი წილადები.



2) $\frac{1}{5}$, $\frac{2}{5}$, $\frac{3}{5}$, $\frac{4}{5}$ დახატეთ ამ წილადების შესაბამისი სურათები.

თუ წილადების ჩაწერას ამ წესით გააგრძელებთ რომელი წილადი იქნება მომდევნო? დახატეთ შესაბამისი სურათი.

ნაწილები, წილადები

წილადების შედარება

გამოცალკავებული ნაჭრები ღვეზელის შეჭმულ ნაწილებს უჩვენებს. ვინ უფრო მეტი ღვეზელი შეჭამა?




ბაგშების მიერ შეჭმული ღვეზელის ნაწილები ჩავწეროთ წილადებით და შევადაროთ.
აიშე და ლალე $\frac{2}{8} < \frac{3}{8}$ სელიმი და აიშე $\frac{5}{8} > \frac{2}{8}$ სელიმი და ლალე $\frac{5}{8} > \frac{3}{8}$

შეჭმული ღვეზელის ნაწილების შედარების, წილადების კლების ან კიდევ ზრდის რიგის მიხედვით დალაგებით ჩვენებაც შეიძლება:


კლების	ზრდის
$\frac{5}{8} > \frac{3}{8} > \frac{2}{8}$ ან კიდევ $\frac{2}{8} < \frac{3}{8} < \frac{5}{8}$	სელიმს თან ლალეზე, თანაც აიშეზე მეტი ღვეზელი შეუჭამია.

1


დაწერეთ ფერადი ნაწილების შესაბამისი წილადები და შეადარეთ.




და



და






და



2

ერთეულოვანი მონაკვეთის რა ნაწილს შეადგენენ ფერადი ლენტები?
დაწერეთ შესაბამისი წილადები და დაალაგეთ ზრდის რიგის მიხედვით.




3

შეადარეთ წილადები.

1) $\frac{3}{4}$ და $\frac{1}{4}$ 2) $\frac{1}{7}$ და $\frac{3}{7}$ 3) $\frac{5}{8}$ და $\frac{1}{8}$ 4) $\frac{3}{5}$ და $\frac{1}{5}$

4

რომელი წესითაა გაფერადებული წრეები? მორიგი წრეც ამ წესით გააფერადეთ. მიძღვნობით დაწერეთ გაფერადებული ნაწილების შესაბამისი წილადები.



ნაწილები, წილადები

1

ა) ნიმუშის შესაბამისად უჩვენეთ წილადები რიცხვით დერბზე.

$$\frac{2}{3}$$

$$\frac{3}{4}$$

$$\frac{4}{5}$$

$$\frac{3}{10}$$


ნიმუში: $\frac{2}{5}$ წილადი გუჩვენოთ რიცხვით დერბზე.

1. რიცხვით დერბზე ავღნიშნოთ რიცხვები 0 და 1.


2. ეს მონაკვეთი 5 ტოლი ნაწილად დაგყოთ. **5 ტოლი ნაწილი**

3. ორი ნაწილი ფერით

გამოგაცალკავთ.



ბ) დაწერეთ რიცხვით დერბზე მოდელირებული წილადები.



2

დაალაგეთ წილადები ზრდის რიგით, შედარების ნიშნების გამოყენებით.


1) $\frac{2}{7} < \frac{3}{7} < \frac{5}{7}$

2) $\frac{5}{6}, \frac{4}{6}, \frac{1}{6}$

3) $\frac{7}{9}, \frac{4}{9}, \frac{5}{9}$

3

1) დაწერეთ ფიგურების გაფერადებული ნაწილების შესაბამისი წილადები.



2) წილადების შედარება სურათებით დაამოდელირეთ.






ა) $\frac{1}{5}, \frac{3}{5}, \frac{4}{5}$

ბ) $\frac{3}{7}, \frac{5}{7}, \frac{6}{7}$

გ) $\frac{1}{8}, \frac{3}{8}, \frac{6}{8}$

4

დაწერეთ ფერადი ფიგურების რაოდენობის შესაბამისი წილადები.



5


დააჯგუფეთ ტოლმნიშვნელიანი წილადები. დაწერეთ თითოეულ ჯგუფში წილადები ზრდის რიგის მიხედვით. რამდენი ჯგუფი მოიღეთ?

$$\frac{7}{9}, \frac{4}{7}, \frac{2}{7}, \frac{4}{9}, \frac{5}{9}, \frac{3}{7}, \frac{3}{6}, \frac{5}{6}, \frac{1}{7}, \frac{1}{6}$$

ნაწილები, წილადები


რიცხვის (მთელის) მიხედვით ნაწილის პოვნა

1) 12 წრის $\frac{2}{3}$ ნაწილი რამდენი წრეა?

სულ 12 წრე



$\frac{2}{3}$ წილადის მნიშვნელი - 3,
 12 წრის 3 ტოლ ნაწილად
 გაცალკავებას უჩვენებს. ერთ
 ნაწილში წრეების რაოდენობა
 ან კიდევ წრეების $\frac{1}{3}$ ნაწილი:

1 ნაწილი: $12 : 3 = 4$ (წრე)



წილადის მრიცხველში
 რიცხვი 2 უჩვენებს სამი
 ტოლი ნაწილიდან ორს.

2 ნაწილი: $2 \cdot 4 = 8$ (წრე)



12 წრის $\frac{2}{3}$ ნაწილი 8 წრეა.

2) 1 საათის $\frac{3}{4}$ ნაწილი რამდენი წუთია?

1 საათი = 60 წუთი


60-ის $\frac{1}{4}$ ნაწილი: $60 : 4 = 15$ (წთ.); 3 ნაწილი: $3 \cdot 15 = 45$ (წთ.).

1

რამდენი წრეა? პასუხი რვეულში სურათითაც უჩვენეთ.

15 წრის

$\frac{2}{5}$ ნაწილი



12 წრის

$\frac{3}{4}$ ნაწილი



24 წრის

$\frac{5}{6}$ ნაწილი



2

ქალბატონმა ნაიღემ 45 მანეთის $\frac{3}{5}$ ნაწილი ხილ-ბოსტნეულის შეძენაზე
 დახარჯა. რამდენი მანეთი ფული დახარჯა ქალბატონმა ნაიღემ
 ხილ-ბოსტნეულის შეძენაზე?

3

ბაღის 24 გამლის ხიდან $\frac{3}{4}$ ნაწილი ახალი ჯიშისაა და წლეულს დაირგო.

რამდენი გამლის ხე დაირგო წლეულს ბაღში?

4

1) 20 გვ გამლის $\frac{3}{4}$ ნაწილი რამდენი კილოგრამია?

2) 1 ბ-ის $\frac{3}{4}$ ნაწილი რამდენი სანტიმეტრია?

3) 1 საათის $\frac{2}{5}$ ნაწილი რამდენი წუთია?

4) 1 ლ-ის $\frac{3}{10}$ ნაწილი რამდენი მილილიტრია?

ნაწილები, წილადები

1

აიგუნმა 160 გვერდიანი წიგნის $\frac{3}{4}$ ნაწილი, სამაიამ კი $\frac{3}{5}$ ნაწილი წაიკითხეს. 1) ვინ უფრო მეტი წაიკითხა? 2) რამდენი გვერდით მეტი წაიკითხა?

2

- 1) იპოვეთ რიცხვი 54 -ის $\frac{2}{6}$ ნაწილისა და რიცხვი 45 -ის $\frac{3}{5}$ ნაწილების ჯამი.
- 2) იპოვეთ რიცხვი 75 -ის $\frac{4}{5}$ ნაწილისა და რიცხვი 81 -ის $\frac{4}{9}$ ნაწილების სხვაობა.

3

- 1) $1 \text{ გვ-ის } \frac{5}{8}$ ნაწილი რამდენი გრამია?
- 2) $400 \text{ გრ } \text{შაქრის } \frac{3}{4}$ ნაწილი ტორტისათვის გამოიყენეს. რამდენი გრამი შაქრის ფხვნილი დარჩა?

4

სკოლის მე-4 კლასის 56 მოსწავლის $\frac{2}{7}$ ნაწილი სკოლაში ქვეითად, $\frac{1}{8}$ ნაწილი პირადი ავტომობილებით, დანარჩენები კი საზოგადოებრივი ტრანსპორტით (ავტობუსი, მეტრო და სხვ) მოდის. რამდენი მოსწავლე სარგებლობს საზოგადოებრივი ტრანსპორტით?

5

ნეზრინმა სტიკერები თითოეულ რიგში 10 სტიკერის ოდენობით 6 რიგში მოაწყო. სტიკერების $\frac{1}{3}$ ნაწილი თევზის სურათებიანი, დანარჩენები კი ყვავილის სურათებიანია. რამდენი ყვავილის სურათიანი სტიკერი აქვს ნეზრინს?

6

კემერმა ორიგამის (ქაღალდის გაუჭრელად დაკეცვა-დაწებებით გამზადებული ფიგურა) დამზადებისათვის წითელი, მწვანე, ყვითელი ფერადი ფურცლებიდან თითოეულის 15 ცალი შეიძინა. მან ფურცლების $\frac{2}{5}$ ნაწილი ცხოველების ფიგურების დამზადებისათვის გამოიყენა. რამდენი ფერადი ფურცელი დარჩა კემერს?

7


სკოლაში ყარაბაღის ომის გეტერანებთან შეხვედრა გაიმართა. შეხვედრა 2 საათს გაგრძელდა. ამ დროს $\frac{1}{3}$ ნაწილი გეტერანების გამოსვლებს, დანარჩენი დრო კი მოსწავლეების გამოსვლებს დაეთმო. რამდენი დრო დაეთმო მოსწავლეების გამოსვლებს?

ნაწილები, წილადები

ნაწილის მიხედვით რიცხვის (მთელის) პოვნა

ამოცანა: კლასში მოსწავლეების $\frac{3}{7}$ ნაწილი ბიჭია. რამდენი მოსწავლეა ამ კლასში, თუ ბიჭების რაოდენობა 12-ია?

ცნობილია: $\frac{3}{7}$ ნაწილი ბიჭია და ისინი 12 არიან.



სულ 7 ნაწილია. მისი 3 ნაწილი 12 ბიჭია. ერთი ნაწილის მოძებნისათვის 12 უნდა გავყოთ 3-ზე. თუ ერთი ნაწილის შესაბამის რიცხვს, ნაწილების საერთო რაოდენობაზე 7-ზე გაგამრავლებთ, ვიპოვთ მოსწავლეების საერთო რაოდენობას.

ამოხსნა. 1 ნაწილი: $12 : 3 = 4$,

7 ნაწილი: $7 \cdot 4 = 28$ მოსწავლე იქნება.

პასუხი. კლასში სულ 28 მოსწავლეა.

1

იბოვეთ რიცხვი მოცემული ნაწილის მიხედვით:

1) $\frac{4}{5}$ ნაწილი 20-ია; 2) $\frac{1}{4}$ ნაწილი 12-ია; 3) $\frac{5}{6}$ ნაწილი 25-ია.

2

ეპმედის ოჯახის ბაღში 21 გაშლის ხე დგას. ეს ხეები, მთელი ხეების რაოდენობის $\frac{3}{5}$ ნაწილს შეადგენს. სულ რამდენი ხე დგას მათ ბაღში?

3

გოგონას ასაკი დედის ასაკის $\frac{2}{7}$ ნაწილის ტოლია. გოგონა 10 წლისაა. რამდენი წლისაა დედი?

4

აგტობუსმა 120 კმ გზა გაიარა. ეს მისი გასაგლელი გზის $\frac{3}{4}$ ნაწილია. კიდევ რამდენი კილომეტრიც გზა უნდა გაიაროს აგტობუსმა?

5

ტელევიზორში ერთი მხატვრული ფილმის ჩვენების დროის $\frac{3}{10}$ ნაწილი რეკლამებს დაეთმო. რამდენ ხას გრძელდებოდა ფილმის ჩვენება, თუ რეკლამებს სულ 15 წუთი დრო დაეთმო?

6

ელმადის გამოცდის დროს დაწერილი პასუხების $\frac{2}{5}$ ნაწილი შეცდომა იყო. სულ რამდენ კითხვაზე დაწერა მან პასუხი, თუ ელმადის მიერ 10 კითხვაზე შეცდომით იყო პასუხი გაცემული?

ნაწილები, წილადები

1

“ღია კარის” დღეს სკოლაში 80 მშობელი მოვიდა. ეს იყო მოსალოდნელი მშობლების $\frac{2}{3}$ ნაწილი. რამდენი მშობლის მოსფლას ელოდნენ სკოლაში “ღია კარის” დღეს?

2

ერთი რიცხვის $\frac{2}{3}$ ნაწილი 24-ია, მეორე რიცხვის $\frac{3}{5}$ ნაწილი 27-ია. იპოვეთ ამ რიცხვების ჯამი.

3

ნარგიზმა ფულის $\frac{1}{3}$ ნაწილით წიგნი შეიძინა. დანარჩენი ფულის ნახევრით კინოს ბილეთი იყიდა. მას 3 მანეთი ფული დარჩა. რა თანხა პქონდა ნარგიზს?

4

რიცხვი 36 -ის $\frac{2}{3}$ ნაწილი, რომელი რიცხვის $\frac{3}{4}$ ნაწილის ტოლია?

5

დეიდა ზეინაბის ეზოში 35 ქათამია. ბატების რაოდენობა ქათმების რაოდენობის $\frac{2}{5}$ ნაწილზე 4-ით ნაკლებია. რამდენი ბატი ჰყავს დეიდა ზეინაბს?


6

- | | | | |
|------------------------------|---|----------------------------------|----------------------------------|
| 1) იპოვეთ მოთხოვნილი ნაწილი. | 2) იპოვეთ რიცხვი მოცემული ნაწილის მიხედვით. | | |
| 28 -ის $\frac{2}{7}$ | 45 -ის $\frac{2}{9}$ | $\frac{2}{5}$ არის 18 -ის ტოლი | $\frac{5}{6}$ არის 15 -ის ტოლი |
| 120 -ის $\frac{7}{10}$ | 1000 -ის $\frac{2}{5}$ | $\frac{3}{4}$ არის 27 -ის ტოლი | $\frac{4}{9}$ არის 16 -ის ტოლი |


7

შეადგინეთ ამოცანა სურათების შესაბამისად.

1)



2)




8

გამოიგვლეთ ქვემოთ მოცემული ამოცანის ამოხსნა და შეადგინეთ შესაბამისი ამოცანები.

რიცხვი 40 -ის $\frac{3}{4}$ რომელი რიცხვის $\frac{2}{3}$ -ის ტოლია?

$$1) \text{რიცხვი } 40\text{-ის } \frac{3}{4} : (40 : 4) \cdot 3 = 30$$

$$2) \text{რომელია რიცხვი, რომლის } \frac{2}{3} 30\text{-ის ტოლია?} \\ (30 : 2) \cdot 3 = 45$$



განმაზოგადებელი დავალებები

1

ელმენმა თვითმფრინავების მოდელების დასამზადებლად ფერადი ქაღალდის 40 ფურცელი შეიძინა. მან შეძენილი ფურცლების $\frac{3}{4}$ ნაწილი გამოიყენა.

1) რამდენი ფერადი ფურცელი გამოიყენა ელმენმა?

2) დარჩენილი ფურცლები ახალი მოდელისათვის საჭირო ფურცლების $\frac{2}{5}$ -ის ტოლი იყო. რამდენი ქაღალდის ფურცელი სჭირდება ახალი თვითმფრინავის მოდელს?

2

ნადირს 20 მანეთი ფული აქვს. ნადირის ფული ზეპრას ფულის $\frac{2}{5}$ -ის ტოლია. რამდენი მანეთი ფული აქვს ზეპრას?

3

ქალაქის პარკში 21 გერნგის და 36 ნაძგის ხეა. გერნგის ხეების $\frac{1}{3}$ და ნაძგის ხეების $\frac{3}{4}$ წლეულს დაირგო. რამდენი ხე დაირგო წლეულს პარკში?

4

პიქტოგრამა ერთ ყელსაბამში სხვადასხვა ფერის მძიგების რაოდენობას გვიჩვენებს. ამოხსენით ამოცანები პიქტოგრამის მიხედვით.

1) ყვითელი მძიგების ნახევარი ბირთვის, $\frac{1}{3}$ პუბის, დანარჩენი ცილინდრის ფორმისაა. რამდენი ცილინდრის ფორმის ყვითელი მძიგია?

2) ალიემ შავი, ცისფერი და მწვანე ფერის მძიგების $\frac{2}{3}$ ნაწილისაგან ყელსაბამი დაამზადა. რამდენი მძიგია ამ ყელსაბამში?

3) რომელი ფერის მძიგების $\frac{2}{3}$ ნაწილი არის 24-ის ტოლი?

მძიგების რაოდენობა	
წითელი	■ ■ ■ ■ ■ ■
ცისფერი	■ ■ ■ ■ ■
ყვითელი	■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■
მწვანე	■ ■ ■ ■ ■ ■
თეთრი	□ □ □ □ □ □ □ □
შავი	■ ■ ■
1 ⊕ = 4 მძიგს	

5


1) ელდარს 90 მანეთი აქვს. ეს თანხა 9 ქაღალდის ფულითაა მიღებული და მათი $\frac{4}{9}$ ნაწილი ხუთმანეთიანია. რამდენმანეთიანებია ელდარის დანარჩენი ფული?

2) ერთ პარკში 24 ცალი კაბიკი ფულია. მათი $\frac{3}{4}$ ნაწილი ხუთკაბიკიანებია. ერთ სხვა პარკში 52 ცალი კაბიკი ფულია. ამ პარკშიც $\frac{3}{4}$ ნაწილი ხუთკაბიკიანებია. “ორივე პარკში ერთი და იგივე რაოდენობის ხუთკაბიკიანებია”–მოსაზრება სწორია?

სიგრძის გაზომვა

სიგრძის ერთეულები

დაიმანსოფრეთ! დიდი საზომი ერთეულების შესაბამის მცირე ერთეულებში გადაყვანისათვის ზომის მაჩვენებელი რიცხვი შესაბამისად 1 000-ზე, 100-ზე ან კიდევ 10-ზე მრავლდება. შებრუნვებული მოქმედების დროს კი ამ რიცხვებზე იყოფა.



1

გაეცით კითხვებზე პასუხები.

- რამდენჯერ მეტია 1 მ 1 სმ-ზე?
- რამდენჯერ ნაკლებია 1 მმ 1 სმ-ზე?
- რამდენჯერ მეტია 3 მ 1 მმ-ზე?

2

შეასრულეთ მოქმედებები.

$$184 \text{ სმ} : 4 = 46 \text{ სმ}$$

$$65 \text{ სმ} \cdot 3 = 195 \text{ სმ} = 1 \text{ მ} 95 \text{ სმ}$$

$$2475 \text{ მ} : 3$$

$$45 \text{ მ} \cdot 4$$

3

$$504 \text{ მმ} : 6$$

$$320 \text{ მმ} \cdot 5$$

ერთი და იმავე საზომი ერთეულში გამოსახვით შეადარეთ ერთმანეთს.

$$4570 \text{ მმ} \quad \text{5 მ} 20 \text{ სმ}$$

$$1 \text{ კმ} 45 \text{ მ} \quad 4500 \text{ მ}$$

$$5275 \text{ მ} \quad \text{4 კმ} 500 \text{ მ}$$

$$3 \text{ კმ} 250 \text{ მ} \quad 3250 \text{ მ}$$

$$6 \text{ მ} 7 \text{ დმ} \quad 567 \text{ სმ}$$

$$4 \text{ დმ} 5 \text{ სმ} \quad 485 \text{ მმ}$$

4

ჯამი 5 მ 9 უნდა იყოს. ჩაწერეთ ფერადი უჯრების აღგილას შესაბამისი ზომები.

$$1) 250 \text{ სმ} + 17 \text{ დმ} + \boxed{}$$

$$4) 2 \text{ მ} 40 \text{ სმ} + 200 \text{ სმ} + \boxed{}$$

$$2) 1400 \text{ მმ} + 2600 \text{ მმ} + \boxed{}$$

$$5) 72 \text{ სმ} + 30 \text{ დმ} + \boxed{}$$

$$3) 380 \text{ სმ} + 300 \text{ მმ} + \boxed{}$$

$$6) 2000 \text{ მმ} + 200 \text{ სმ} + \boxed{}$$

5

ერთი სატვირთო მანქანის სიმაღლე 2 მ 20 სმ-ია. 4 მ სიმაღლის ხიდქეშ გავლისათვის მანქანის ზემოთ ტვირთის სიმაღლე ყველაზე მეტი რამდენი შეიძლება იყოს?

6

ერთი და ოგივე ზომა სხვადასხვა ერთეულებით გამოსახეთ.

$$4 \text{ მ} 15 \text{ სმ} = 4150 \text{ მმ} = 415 \text{ სმ} = 40 \text{ დმ} 15 \text{ სმ} = 41 \text{ დმ} 5 \text{ სმ}$$

$$1) 40 \text{ დმ} 8 \text{ სმ}$$

$$4) 2785 \text{ მმ}$$

$$2) 2 \text{ მ} 250 \text{ მმ}$$


$$5) 345 \text{ სმ}$$

$$3) 13 \text{ მ} 4 \text{ დმ}$$

$$6) 75 \text{ დმ}$$

სიგრძის გაზომვა

დაახლოებითი ზომები



1 მმ-ის სიზუსტით: წითელი ლენტა: 93 მმ

ცისფერი ლენტა: 48 მმ

1 სმ-ის სიზუსტით: წითელი ლენტა: $93 \text{ მმ} \approx 90 \text{ მმ} = 9 \text{ სმ}$
ცისფერი ლენტა: $48 \text{ მმ} \approx 50 \text{ მმ} = 5 \text{ სმ}$

1

დაამრგვალეთ მოთხოვნილ საზომ ერთეულებამდე.

უახლოეს სანტიმეტრამდე უახლოეს მეტრამდე უახლოეს კილომეტრამდე
 $148 \text{ მმ} = 14 \text{ სმ } 8 \text{ მმ} \approx 15 \text{ სმ}$ 105 სმ $4 \text{ კმ } 250 \text{ მ}$

53 მმ

2 მ 65 სმ

5675 მ

367 მმ

4 მ 90 მმ

3 კმ 190 სმ


2

თთოეულის სიგრძე 295 მმ-ის მქონე 5 ფიცრის ნაჭრის წვერების ერთმანეთზე დამაკრებით დამზადებულია ხიდის მოდელი. დაახლოებით რამდენი მეტრია ხიდის მოდელის სიგრძე?

3

რომელი სამუშაოსათვის გაზომვები უნდა იყოს დაახლოებითი და რომელისათვის ზუსტი?

- 1) ერთი ფანჯრისათვის გამოყენებული ფიცრის ფასის გაანგარიშებისათვის გაზომვების ჩატარებისას.
- 2) ფანჯრის მინების შეკვეთისათვის გაზომვების ჩატარებისას.



4

პლაკატის ნამდვილი ზომა სურათზე მოცემულ ზომაზე 10-ჯერ მეტია.

- 1) აღნიშნული ზომები გაზომეთ 1 სმ-ის სიზუსტით და დაწერეთ.

- 2) მოცემული პირობის მიხედვით გაიანგარიშეთ პლაკატის ნამდვილი ზომები.



b

a

სიგრძის გაზომვა

სიგრძის საზომების წილადით გამოსახვა

1

გვიანგარიშეთ.

- 1) რამდენი სანტიმეტრია $1 \text{ მეტრი} \cdot \frac{1}{2}, \frac{1}{4}$ ნაწილი?
- 2) $\frac{1}{4}$ მ, $\frac{4}{5}$ მ რამდენი სანტიმეტრია?
- 3) რამდენი მილიმეტრია $30 \text{ სმ-ის} \cdot \frac{2}{3}$ ნაწილი?

2

გვიანგარიშეთ.

- 1) რისი ტოლია 80 სმ სიგრძის მაფის $\frac{2}{3}$ ნაწილი?
- 2) რისი ტოლია $1 \text{ კმ-ის} \cdot \frac{3}{4}$ -ის და $1 \text{ კმ-ის} \cdot \frac{4}{5}$ -ის ჯამი?

3

20 მ-იანი გვერდის სიგრძის მქონე პგადრატული ბაღის ღობის $\frac{1}{4}$ ნაწილის სიგრძის გასწორივ ასკილის, დანარჩენ ნაწილში კი მაყვლის ბუჩქებია

4

დარგული. ღობის სიგრძის რამდენ მეტრზეა დარგული მაყვალი?

7 მ სიგრძის აბრეშუმის ლენტის $\frac{1}{5}$ ნაწილი 6 ადგილის გადაჭრით ტოლ ნაწილებად დაიყო. რამდენი სანტიმეტრია ტოლი ნაწილებიდან თითოეულის სიგრძე? დარწმუნდით, რომ ტოლი ნაწილების რაოდენობა

5

ჰუსტად განსაზღვრეთ.

ძველ დროში სხვადასხვა სიგრძის ერთეულები გამოიყენებოდა. მაგალითად: ფარსანგი, მანძილი, უტევანი, არშინი, ჩარექი და სხვ. ამ საზომ ერთეულებსა და ჩვენს მიერ გამოყენებულ საზომ ერთეულებს შორის დამკიდებულება ქვემოთაა მოცემული.

$$1 \text{ ფარსანგი} = 5685 \text{ მ}$$

$$1 \text{ მანძილი} = 4 \text{ ფარსანგი}$$

$$1 \text{ უტევანი} = 1 \text{ მ} 90 \text{ სმ}$$

$$1 \text{ არშინი} = 68 \text{ სმ}$$

$$1 \text{ ჩარექი} = 18 \text{ სმ}$$

6

1) დაახლოებით რამდენი მეტრია 7 ფარსანგი; 9 ფარსანგი?

2) დაახლოებით რამდენი მეტრია 5 უტევანი; 12 უტევანი?

3) დაახლოებით რამდენი მეტრია 1 მანძილი; 2 მანძილი?

4) დაახლოებით რამდენი მეტრია 5 ჩარექი; 10 ჩარექი?

5) 2 არშინი 1 მეტრზე რამდენითაა მეტი?

6) 1 უტევანი დაახლოებით რამდენი ჩარექია?

შეადარეთ.

- 1) 5 უტევანი 10 მ 2) 3 არშინი 11 ჩარექი 3) 2 ფარსანგი 3 მანძილი

სიგრძის გაზომვა

1

შეასრულეთ მოქმედებები ნიმუშის შესაბამისად.

$$1) 7 \text{ სმ} 5 \text{ მმ} + 5 \text{ სმ} 8 \text{ მმ} = 12 \text{ სმ} 13 \text{ მმ} = 13 \text{ სმ} 3 \text{ მმ}$$

$$15 \text{ მ} 25 \text{ სმ} + 6 \text{ მ} 75 \text{ სმ}$$

$$25 \text{ კმ} 450 \text{ მ} + 11 \text{ კმ} 670 \text{ მ}$$

$$21 \text{ მ} 65 \text{ სმ} + 12 \text{ მ} 50 \text{ სმ}$$

$$12 \text{ კმ} 780 \text{ მ} + 8 \text{ კმ} 270 \text{ მ}$$

$$2) 18 \text{ მ} 45 \text{ სმ} : 5 = 1845 \text{ სმ} : 5 = 369 \text{ სმ} = 3 \text{ მ} 69 \text{ სმ}$$

$$30 \text{ მ} 90 \text{ სმ} : 3$$

$$5 \text{ მ} 55 \text{ სმ} \cdot 3$$

$$10 \text{ მ} 75 \text{ სმ} \cdot 4$$

$$12 \text{ მ} 48 \text{ სმ} : 4$$

$$9 \text{ მ} 36 \text{ სმ} \cdot 6$$


$$6 \text{ მ} 54 \text{ სმ} \cdot 3$$

2

6 მ სიგანძია და 10 მ სიგრძის მართვულია ფორმის ფართობის გარშემო გუთხეებიდან დაწყებით ყოველ 2 მეტრში ერთი ხე დაირგო. რამდენი ხე დაირგო ბარში? ამონსენით ამოცანა სურათის დახატვით.

3

ამონსენით ამოცანები სურათის მიხედვით.



- 1) განსაზღვრეთ მანძილი საცხოვრებელი მასივიდან სკოლამდე და მეჩეთამდე. რამდენი კილომეტრით ახლოსაა საცხოვრებელი მასივიდან სკოლა მეჩეთთან შედარებით?
- 2) რომელი შენობაა პარკიდან 6 კმ-ის მანძილზე?
- 3) ძია რაუფი ზღვიდან მეჩეთში, მეჩეთიდან ბანკი, იქიდან კი სახლში წაგიდა. რა მანძილი გადარა ძია რაუფმა?

4

ქსოვილის თოფიდან ჩამოაჭრეს 4 ნაჭერი, რომელთაგან თითოეული 4 მ 50 სმ-ით მეტი იყო წინასთან შედარებით. პარკელი ნაჭრის სიგრძე 8 მ 50 სმ-ია. რამდენი მეტრი ქსოვილი მოიჭრა სულ? ამონსენით ამოცანა მოჭრილი ნაწილების მიმდევრობით დაწერით.

5

გზის 5 კმ 500 მეტრიან მონაკვეთზე ასფალტი დაიგო. ეს მონაკვეთი მთელი გზის სიგრძის $\frac{2}{5}$ ნაწილია. გზის რამდენ კილომეტრზე არაა ჯერ კიდევ ასფალტი დაგებული?

სიგრძის გაზომვა

ამოცანის შედგენის უნარები

შეადგინეთ ამოცანები, რომლებიც მოცემული მოქმედებების შესრულებას მოითხოვენ. ნიმუშისათვის ორი ამოცანაა შედგენილი.

$$3 \times 80 \text{ სმ} = 240 \text{ სმ}$$

$$5 \text{ მ} - 2 \text{ მ} 40 \text{ სმ} = 2 \text{ მ} 60 \text{ სმ}$$

ამოცანა 1. 5 მ სიგრძის ფიცრის ნაჭრიდან 3 ცალი თითოეული 80 სმ სიგრძის ნაჭრები ჩამოაჭრეს. რას უდრის დარჩენილი ფიცრის სიგრძე?

ამოცანა 2. ერთ ქვედატანში 80 სმ, ერთ კოსტუმში კი 5 მ ქსოვილი გამოიყენება. რამდენით აღემატება ერთ კოსტუმში გამოყენებული ქსოვილი 3 ქვედატანისათვის გამოყენებული ქსოვილის სიგრძეს?

1

შეადგინეთ მოცემული ამოხსნის შესაბამისი ამოცანა.

1)

$$4 \times 70 \text{ სმ} = 280 \text{ სმ}$$

$$6 \text{ მ} - 2 \text{ მ} 80 \text{ სმ} = 3 \text{ მ} 20 \text{ სმ}$$

2)

$$75 \text{ კმ} + 60 \text{ კმ} = 135 \text{ კმ}$$

$$250 \text{ კმ} - 135 \text{ კმ} = 115 \text{ კმ}$$

2

მოცემული რიცხვების გამოყენებით ორივე ამოცანა დაასრულეთ და ამოხსენით.

5 40 160

- 1) მართკუთხა ფორმის ბაღის სიგრძე მ-ია, სიგანე კი სიგრძეზე მ-ით მოკლეა. ბაღის გარშემო მ-ის დაშორებით ხეები უნდა დაირგოს. რამდენი ხე არის საჭირო ამისათვის?
- 2) ატელიეში მ ქსოვილისაგან ფარდა შეიკერა. ქსოვილისაგან რამდენი ფარდის შეკერვა შეიძლება?


3

ამოცანის შესახებ სხვადასხვა კითხვები მოიფიქრეთ და ამოხსენით. გრავნილში არსებული 100 მ მავთულიდან სამჯერ მავთული მოიჭრა. პირველად მოჭრილი მავთულის ზომა 5 მ იყო. ყოველ შემდეგ ჯერზე მოჭრილი კი, მის წინა ჯერზე მოჭრილზე 10 მ-ით მეტი იყო.


4

სქემატური გამოსახულებების მიხედვით დაწერეთ ამოცანის ტექსტი და ამოხსენით.

1)




2)



მასის გაზომება

ტონა (ტ), ცენტნერი (ც), კილოგრამი (კგ), გრამი (გრ), მილიგრამი (მგ) – მასის ერთეულებია.

- 1) $1 \text{ ტ} = 10 \text{ ც}$ (ცენტნერი)
- 2) $1 \text{ ც} = 100 \text{ კგ}$
- 3) $1 \text{ ტ} = 1\,000 \text{ კგ}$
- 4) $1 \text{ კგ} = 1\,000 \text{ გრ}$
- 5) $1 \text{ გრ} = 1\,000 \text{ მგ}$



მიაქციეთ ყურადღება! ტვირთებზე, სურსათის ყუთებზე მასები იწერება ყუთებთან ერთად და ყუთების გარეშეც ანუ სურსათის სუფთა წონაც.

1

- 1) გამოსახეთ გრამობით.
- ა) 5 კგ ბ) 18 კგ
- გ) 5000 მგ დ) 6000 მგ
- 3) გამოსახეთ მილიგრამობით.
- ა) 4 გრ ბ) 28 გრ
- გ) 11 გრ დ) 1 კგ

- 2) გამოსახეთ კილოგრამობით.
- ა) 125 000 გრ ბ) 8 000 გრ
- გ) 6 000 გრ დ) 3 000 გრ
- 4) გამოსახეთ ტონობით.
- ა) 200 ც ბ) 10 000 კგ
- გ) 2500 ც დ) 101 000 კგ

2

გამლის ყუთებზე სუფთა მასა 30 კგ და ყუთთან ერთად მასა 32 კგ აწერია.
1) რამდენი კგ გაშლია 200 ასეთ ყუთში? 2) რამდენ კილოგრამს იწონის 200 ასეთი ცარიელი ყუთი?

3

პომიდორით საგსე თითოეული ყუთის მასა 22 კგ-ია. ა) რას უდრის 8 ასეთ ყუთში არსებული პომიდორის მასა თუ თითოეული ყუთის მასა 2 კგ-ია? ბ) რა თანხას მიიღებენ 8 ყუთი პომიდორის გაყიდვიდან, თუ 1 კგ პომიდორის ფასი 80 კაპიკია? გ) რა თანხა დარჩება გადაზიდვის ხარჯების დაფარვის შემდეგ, თუ 1 კგ ტვირთის გადაზიდვის ფასი იქნება 10 კაპიკი?

4

აგტომობილის მასა 920 კგ-ია. აგტომობილში 2 ადამიანის ჩაჯდომისას მასა ხდება 1030 კგ. მგზავრებიდან ერთის მასა, მეორეზე 14 კგ-ით მეტია. იძოვეთ თითოეული მათვანის მასა.

5

ამონსენით ამოცანა მთელი – ნაწილი მოდელის გამოყენებით.

გამოთქვით მოსაზრებები საგნების მასების შესახებ. დაუსვით ერთმანეთს კითხვები კლასში არსებული სხვადასხვა საგნების დაახლოებითი მასის შესახებ.

სკამი – 1 კგ თუ 10 კგ
ცარცი – 500 გრ თუ 50 გრ

1 ყუთი კალამი – 300 გრ თუ 3 კგ
1 ფურცელი – 500 გრ თუ 50 მგ

მასის გაზომება

ამოცანების ამონია

1

თვითმფრინაგში ერთ მგზავრზე 20 კგ ბარები უფასოდ გადაიტანება. მგზავრმა 20 კგ-ის ზეგით ყოველი 1 კგ ტვირთისათვის კი 3\$ (აშშ დოლარი) უნდა გადაიხადოს.. ქალბატონმა ალიემ აერთოორტში ბარები სასწორზე აწონა. მისი ჩემოდანი 18 კგ, ჩანთა 11 კგ იყო.


- 1) რამდენი დოლარი უნდა გადაიხადოს ქალბატონმა ალიემ ზედმეტი ბარებისათვის?
- 2) ბანკის კურსის მიხედვით 1 დოლარი 1 მანეთად და 5 კაპიკად იცვლება. გამოთვალეთ ქალბატონი ალიეს ზედმეტი ბარებისათვის გადასახდელი თანხა მანეთობით.

2

რომელ შემთხვევაში მასის შესახებ მოსაზრება დაახლოებით, რომელ შემთხვევაში ზუსტადაა ნათქვაში?



- 1) ქალბატონი რენა ბაზრიდან ცოცხალ ქათამს ყიდულობს. გამყიდველი ამბობს, რომ ქათამს 1 კგ-ზე მეტი ხორცი აქვს.





- 2) ქალბატონმა რენამ გოგონას დაბადების დღეზე 20 ადამიანი დაპატიჟა. მან, ერთ ადამიანზე 300 გრ-ის ანგარიშით სუპერმარკეტიდან 6 კგ 400 გრ ხორცი შეიძინა.

3

რამდენი კილოგრამია დაახლოებით თითოეულის მასა?

დაახლოებით რამდენი კილოგრამითაა მძიმე ძაღლი ბავშვთან შედარებით?



4

მასების უახლოეს კილოგრამამდე დამრგვალებით გაიანგარიშეთ დაახლოებითი ჯამი, მითითება: 500 გრ და 500 გრ-ზე მეტი მასა 1 კგ-ად ჩათვალეთ. 500 გრ-ზე ნაკლებ მასას კი მნედველობაში ნუ მიიღებთ.

$$395 \text{ კგ } 850 \text{ გრ} + 127 \text{ კგ } 200 \text{ გრ}$$

$$4 \text{ კგ } 895 \text{ გრ} + 3 \text{ კგ } 150 \text{ გრ}$$

$$127 \text{ კგ } 90 \text{ გრ} + 234 \text{ კგ } 910 \text{ გრ}$$

$$45 \text{ გრ } 345 \text{ მგ} + 23 \text{ გრ } 300 \text{ მგ}$$

$$100 \text{ გრ } 100 \text{ მგ} + 56 \text{ გრ } 800 \text{ მგ}$$

$$567 \text{ გრ } 430 \text{ მგ} + 265 \text{ გრ } 700 \text{ მგ}$$

მასის გაზომება

მასის წილადით გამოსახვა
დაიმახსოვრეთ!

$$1 \text{ ტ} = 1000 \text{ კგ}$$

$$\frac{1}{2} \text{ ტ} = 500 \text{ კგ}$$

$$\frac{1}{4} \text{ ტ} = 250 \text{ კგ}$$

$$1 \text{ კგ} = 1000 \text{ გრ}$$

$$\frac{1}{2} \text{ კგ} = 500 \text{ გრ}$$

$$\frac{1}{4} \text{ კგ} = 250 \text{ გრ}$$

$$1 \text{ გრ} = 1000 \text{ მგ}$$

$$\frac{1}{2} \text{ გრ} = 500 \text{ მგ}$$

$$\frac{1}{4} \text{ გრ} = 250 \text{ მგ}$$

1

ტოლი მასები დააჯგუფეთ.

$$750 \text{ გრ}, \frac{1}{8} \text{ ტ}, 200 \text{ მგ}, \frac{3}{4} \text{ კგ}, \frac{1}{5} \text{ გრ}, 125 \text{ კგ}$$

2

რისი ტოლია ჯამი? გაიანგარიშეთ ერთსა და იმავე საზომ ერთეულებში გამოსახვით.

$$1) 96 \text{ კგ} \text{ კარტოფილი და } \frac{1}{5} \text{ ტ} \text{ სტაფილო} \quad 2) 400 \text{ გრ} \text{ ჩაი და } \frac{3}{4} \text{ კგ} \text{ შაქარი}$$


$$3) \frac{1}{4} \text{ ტ} \text{ პომიდორი და } 200 \text{ კგ} \text{ კიტრი} \quad 4) \frac{3}{4} \text{ კგ} \text{ ყველი და } 500 \text{ გრ} \text{ კარაქი}$$

3

გამოყენებული იქნა თითოეული ნახევარკილოგრამიანი 2 ყუთი კარაქის $\frac{4}{5}$ ნაწილი. რამდენი კარაქი დარჩა?

4


მინის ჭურჭელი როცა თაფლით სრულად საფსეა 850 გრ-ია, ნახევრად საფსეს მასა კი 550 გრამია. რისი ტოლია მინის ჭურჭლის მასა? ამოხსენით ამოცანა მთელი-ნაწილი მოდელის გამოკვლევით.




5

სასწორი გაწონასწორებულია.

ა) იპოვეთ ფქვილის მასა.



ბ) იპოვეთ საჩუქრის მასა.



6

პირველი კომპიუტერი 1946 წელს შეიქმნა. მისი მასა 30 ტონა იყო. თქვენ როგორ ფიქრობთ, რამდენია თანამედროვე კომპიუტერის მასა? გამოთქვით მოსაზრებები სხვადასხვა კომპიუტერების მიხედვით.

7

შეადარეთ მასები.

$$900 \text{ გრ} \bigcirc \frac{1}{4} \text{ კგ}$$

$$\frac{3}{4} \text{ კგ} \bigcirc 750 \text{ გრ}$$

$$350 \text{ გრ} \bigcirc \frac{1}{5} \text{ კგ}$$

$$\frac{3}{5} \text{ კგ} \bigcirc 800 \text{ გრ}$$

$$600 \text{ გრ} \bigcirc \frac{5}{8} \text{ კგ}$$

$$\frac{2}{5} \text{ კგ} \bigcirc \frac{1}{2} \text{ კგ}$$

მასის გაზომვა

ამოცანების ამონენა

1


150 გრ მასის ყუთებში დაფასოებულია კუბის ფორმით დაჭრილი შაქარი, რომელთაგან თითოეულის მასა 2 გრამია. თუ თითოეულ ყუთში იქნება 250 ცალი შაქრის ნაჭერი, რისი ტოლი იქნება ერთი ყუთის შაქრის მასა ყუთთან ერთად?

2

დეიდა ბილგეისი ამბობს, რომ ლეღვის მურაბის მოხარშვისას ყოველ 3 კგ ლეღვგზე 2 კგ შაქრის ფხვნილის არევა და ამ ნარევის რამდენიმე საათით შენახვის შემდეგ მოხარშვაა საჭირო. რამდენი კილოგრამი ლეღვია ამ წესით გამზადებულ 20 კგ ნარევში?
ამონენით ამოცანა ცნობილის შედგენით.

3

ვაშლით სავსე ყუთის მასა 28 კგ-ია. თუ ამ ყუთის $\frac{2}{3}$ ნაწილი იქნება ვაშლით სავსე, მაშინ მისი მასა 20 კგ-ია.
იპოვეთ ცარიელი ყუთის მასა.
ამონენით ამოცანა მთელი-ნაწილი მოდელის



4

მაღაზიაში ერთი და ოფიცე სახის ბრინჯი სხვადასვა ტევადობის პარკებში იყიდება. რომელ პარკში არსებული ბრინჯის 1 კგ უფრო იაფია?


10 კგ ბრინჯი:	28 მანეთი
15 კგ ბრინჯი:	36 მანეთი
20 კგ ბრინჯი:	42 მანეთი

5

200 გრ კარაქის ფასი 2 მანეთია. იპოვეთ 1 კგ; 2 კგ; 3 კგ კარაქის ფასი. დაწერეთ n კგ კარაქის ფასის მაჩვენებელი ცვლადიანი გამოსახულება.

6


მყიდველმა სურათზე სასწორზე ნაჩვენები ოდენობის ნაზუქში 1 მანეთი და 50 კაპიკი გადაიხდა. გაიანგარიშეთ 1 კგ ნაზუქის ფასი. ნაზუქის მასის უცნობად ჩათვლით (x ან კიდევ ფერადი უჯრა) შეადგინეთ განტოლება და ამონენით ამოცანა.



7

გამოიგვლიეთ სასწორის დანაყოფები
A სასწორზე “სამოთხის გაშლების” წონის მიხედვით იპოვეთ **B** სასწორზე 1 დიდი გაშლის მასა.

- ა) 260 გრ. ბ) 200 გრ გ) 60 გრ






ტეგადობის გაზომვა

დაიმანსოვრეთ!

$$1 \text{ ლ} = 1000 \text{ მლ}, \frac{1}{2} \text{ ლ} = 500 \text{ მლ}, \frac{1}{4} \text{ ლ} = 250 \text{ მლ}$$

1

რამდენი წყალი დაეტევა?



2

ერთ შეკვრაში 320 მლ-იანი 20 ყუთი ბალის წვენია. სულ რამდენი ბალის წვენია შეპვრაში?

3

რეპიმმა ხველის საწინააღმდეგოდ ყოველ ჯერზე 1 სუფრის კოგზი, დღეში სამჯერ 5 დღის განმავლობაში წამალი უნდა მიღოთს. სუფრის კოგზის ტეგადობა 5 მლ-ია. სულ რამდენი მიღოლიტრი წამალი უნდა მიღოთს რეპიმმა?

4

გამოთვალეთ.

$$1 \text{ ლ } 470 \text{ მლ} + 890 \text{ მლ} = 1 \text{ ლ } 1360 \text{ მლ} = 2 \text{ ლ } 360 \text{ მლ}$$

$$2 \text{ ლ } 350 \text{ მლ} + 650 \text{ მლ}$$

$$4 \text{ ლ} - 500 \text{ მლ}$$

$$25 \text{ ლ } 670 \text{ მლ} + 4560 \text{ მლ}$$

$$6 \text{ ლ } 400 \text{ მლ} - 3 \text{ ლ } 700 \text{ მლ}$$

$$8 \text{ ლ } 400 \text{ მლ} + 3 \text{ ლ } 700 \text{ მლ}$$

$$12 \text{ ლ} - 3750 \text{ მლ}$$

5

8 კგ ატმისაგან 5 ლ წვენის მიღებაა შესაძლებელი. რამდენი კგ ატმია საჭირო 30 ლ ატმის წვენის მისაღებად? ამონსენით ამოცანა თრი ხერხით.


1) ცხრილის შედგენით.

2) იმის მოძებნით თუ 10 ლ წვენის მიღება რამდენი კილოგრამი ატმისგანაა შესაძლებელი.

6

ა ჭურჭელში წყლის არსებული რაოდენობის მიხედვით განსაზღვრეთ სხვა ჭურჭლებში არსებული წყლის ოდენობა.

A



ტეგადობის გაზომვა

ტეგადობის წილადით გამოსახვა

1

გამოსახული მიღილიტრობით და გაიანგარიშეთ მოთხოვნილი ნაწილი.

$$4 \text{ ლ} = 4000 \text{ მლ}; 4000 \text{ მლ} : 8 = 500 \text{ მლ}; 500 \text{ მლ} \cdot 5 = 2500 \text{ მლ} = 2 \frac{1}{2} \text{ ლ}$$

1) $4 \text{ ლ} - \text{ს } \frac{5}{8}$

2) $1 \text{ ლ} - \text{ს } \frac{3}{4}$

3) $2 \text{ ლ} - \text{ს } \frac{2}{5}$

4) $3 \text{ ლ} - \text{ს } \frac{4}{6}$

2






სამი წყლის ჭურჭლიდან პირველში $\frac{3}{4}$ ლ, მეორეში 350 მლ, მესამეში $\frac{1}{2}$ ლ წყალია. რა რაოდენობის წყალია სულ სამიგე ჭურჭელში ერთად?

3

ლიტრანახევარი რძის ნახევარი დილით, დანარჩენის $\frac{1}{3}$ კი საღამოს გამოიყენეს. რამდენი ლიტრი რძე დარჩა?

4

დიდი ჭურჭელი (1 ლიტრიანი) რამდენ პატარა ჭურჭელ ($\frac{1}{2}$ ლ, $\frac{1}{4}$ ლ) წყალს იტევს?



5

15 ლ ტეგადობის მქონე წყლით საგსე გედროდან წყალი 350 მლ-იანი საგსე ჭურჭლით 5-ჯერ აიღეს.

დარჩენილი წყლის ნახევრით ყვავილები მოიწყა.

რამდენი წყალი დარჩა გედროში?



6

სამ ჭურჭელში სულ 40 ლ წყალი დგას. 1 ჭურჭელში 12 ლ წყალი.

დანარჩენი 2 ჭურჭლიდან ერთში წყალი, მეორესთან შედარებით 6 ლ-ით მეტია. რამდენი ლიტრი წყალია მეორე ჭურჭელში?

7

შეადარეთ.

1) $\frac{3}{5} \text{ ლ}$ და 300 მლ 2) $\frac{1}{4} \text{ ლ}$ და 280 მლ 3) $\frac{2}{5} \text{ ლ}$ და 400 მლ

4) $\frac{3}{4} \text{ ლ}$ და $\frac{3}{5} \text{ ლ}$ 5) 1 ლ 350 მლ და 1500 მლ 6) $\frac{1}{3} \text{ ლ}$ და $\frac{1}{4} \text{ ლ}$

ტეგადობის გაზომვა

ამოცანების ამოხსნა

1

მინაია ბებიამ ზაფხულის ცხელ დღეებში შვილიშვილებს ლიმონათს უმზადებს. ის, ყოველ 3 ლ წყალს 200 მლ ლიმონის წვენს და 400 მლ შარბათს უმატებს. რამდენი წყალი და რამდენი შარბათი უნდა დაუმატოს მინაია ბებიამ 400 მლ ლიმონის წვენს? მიღებული ლიმონათი გამოსახულ ლიტრებში და მიღილიტრებში. ამოხსენით ამოცანა ცხრილის შედგენით.

2

9 000 ლ ტეგადობის მქონე აუზი 2 მილით შემავალი წყლით 90 წუთში აიგსო. თუ აუზში პირველი მილით წუთში 30 ლ წყალი შედის, რამდენი ლიტრი წყალი შედის მეორე მილით?

3

ავზი წუთში 8 ლ და 6 ლ წყლის მიწოდებით 2 მილის საშუალებით იღსება, წუთში 5 ლ წყლის გამტარი მილით კი იცლება. რა დოოში გაიგსება 5 400 ლიტრიანი ავზი, თუ სამიგე მილი ერთდროულად იმუშავებს?

4

თოთო ბავშვი ყოველ ჯერზე 240 მლ თდენობით, დღის განმავლობაში 6-ჯერ იგვებება. რამდენ საჭმელს იღებს თოთო ბავშვი ერთი კვირის განმავლობაში?



5

5 ლ ნარეგი ხილის წვენის $\frac{2}{5}$ მაყვლის, $\frac{1}{5}$ ბალის დანარჩენი კი ჭერმის წვენია. რამდენია ჭერმის წვენი?

6

2 ლ მაწონიდან 5 ლ აირანის დამზადება შეიძლება. 4 ლ მაწონისაგან დამზადებული აირანი ნახევარლიტრიან ჭურჭლებში შეიგსო და თითოეული 60 კაპიკად გაიყიდა. რა თანხა მიღეს გაყიდვიდან?

7

ჭურჭელში 9 ლ 450 მლ წყალია. თუ ჭურჭელს 4-ჯერ მეტი წყალი დაემატება ჭურჭელი აიგსება. რამდენი ლიტრია ამ ჭურჭლის ტეგადობა?

8

გაიანგარიშეთ ნიმუშის შესაბამისად. გამოსახულებით.

$$2 \text{ ლ} : 5 = 2000 \text{ მლ} : 5 = 400 \text{ მლ}$$

- 1) 2 ლ : 5 2) 3 კმ : 8 3) 5 ტ : 4 4) 4 სმ : 5 5) 6 ბ : 4

განმაზოგადებელი დავალებები

1

1 ტ-ზე რამდენითაა ნაკლები?

- 1) 956 გვ; 2) 450 გვ 500 გრ 3) 56 750 გრ; 4) 453 000 გრ

1 კგ-ზე რამდენითაა ნაკლები?

- 1) 37 000 მგ; 2) 750 გრ 305 მგ 3) 5 000 მგ; 4) 30 გრ 100 მგ

2

კატას თაგვის დაჭერა სურს. კატა 6 მ-ის აღმნიშვნელი წერტილიდან ყოველ ჯერზე 3 მეტრით, თაგვი კი 14 მ-ის აღმნიშვნელი წერტილიდან ყოველ ჯერზე 1 მეტრით მარჯვნივ ხტება. ისინი მოძრაობას ერთდროულად თუ დაიწყებენ, მერამდენე ნახტომისას დაიჭერს კატა მას? ამონებით ამოცანა სქემატური გამოსახვით.



6 მ 7 მ 8 მ 9 მ 10 მ 11 მ 12 მ 13 მ 14 მ 15 მ 16 მ 17 მ 18 მ 19 მ 20 მ


3

ეპმედს პატარა ძაღლის ლეპვი ჰყავს. ლეპვის მასა დაახლოებით 600 გრ იყო. ეპმედი ვეტერინარი ექიმის დახმარებით, ყოველ კვირის ბოლოს ძაღლს სასწორზე წონის და ნამეტს აღნიშნავს. გრაფიკი ეპმედის ძაღლის 4 კვირის განმავლობაში მასის მატებას გვიჩვენებს.

- 1) მერამდენე კვირაში იყო ძაღლის მასის ნამატი 250 გრ-თან ახლოს?

- 2) მეორე კვირის ბოლოს რისი ტოლი იყო ძაღლის მასა?

- 3) გრაფიკს მიხედვით გიდეგ 2 ინფორმაცია წარმოადგინეთ.



4

გამოთვალეთ.

1) 2 საათის $\frac{2}{5}$ რამდენი წუთია?

3) 1 წლის $\frac{3}{5}$ რამდენი დღეა?

2) 2 წუთის $\frac{1}{6}$ რამდენი წამია?

4) 1 წლის $\frac{2}{3}$ რამდენი თვეა?

5





ამონებით ამოცანა მთელი ნაწილი მოდელის აგებით.

ღონისძიებაზე სცენაზე მყოფი მოსწავლეებიდან $\frac{2}{5}$ ნაწილს თეთრი, $\frac{2}{5}$ ნაწილს წითელი, 6 მოსწავლეს კი ცისფერი კოსტუმი ეცვა. რამდენი მოსწავლე იყო სცენაზე?

მე-4 განკოდილება



რას შეისწავლით ამ განკოდებაში?

- კუთხეების ტრანსპორტირით გაზომვას და დახაზვას;
- წერტილების აღნიშვნით მრავლგუთხედების დასახელებას;
- სურათებზე მობრუნების, ასახვის (ღერძული სიმეტრიის), მოცურების, მოძრაობების შესრულებას;
- პერიმეტრისა და ფართობის გაანგარიშებას;
- სივრცითი ფიგურების შლილის სახით გამოკვლევას;
- სურათზე არსებული ჭომების მიხედვით რეალური ჭომების (ან პირიქით) პოვნას;
- კონსტრუქციების აწყობას და სხვადასხვა მხრიდან მათი ხედების დახაზვას.




კუთხეები


კუთხე წვეროს წერტილის ასოს შუაში ყოფნით $\angle ACB$ ან კიდევ $\angle BCA$ -სავით იწერება და იკითხება. « \angle » კუთხის ნიშანია. კუთხე მხოლოდ წვეროს წერტილის მაჩვენებელი ასოთიც შეიძლება დაგწეროთ და წაგიკითხოთ: $\angle C$



$\angle RST$
მახვილი კუთხეა



$\angle YXZ$
მართი კუთხეა



$\angle KMN$
ბლაგვი კუთხეა




$\angle OPL$
გაშლილი კუთხეა


1)

დაწერეთ კუთხეების სახელები და სახეები


2)




3)



4)






5)




2)

ნარგიზმა მახვილი კუთხე დახაზა და $\angle RST$ -თი აღნიშნა. მერამდენე სურათიდა ეს?



3)





დაწერეთ აღნიშნული კუთხეების
სახელები და სახეები.



4)

ჯგუფური სამუშაო.

მოსწავლეები ჯგუფებად იყოფიან. თითოეული ჯგუფი რიგ-რიგობით საგნებზე ან კიდევ მათი მოძრაობებით სხვადასხვა კუთხეებს ამოდელირებენ. ჯგუფის წევრები შესაბამის კუთხეებს ხელებს მოძრაობით დახაზვით წარმოადგენენ. მაგალითად, კარს გადებს ნიმუშზე.




კუთხეების გაზომვა და აგება

კუთხე გრადუსებში ($^{\circ}$) იზომება. კუთხეების გაზომვისა და აგებისათვის ტრანსპორტირი და კუთხედი (მართკუთხა სამცუთხედის ფორმის სახაზავი) გამოყენება. კუთხედი მართი კუთხეების გაზომვისა და აგებისათვის არის ხელსაყრელი. ტრანსპორტირით 180° - მდე ნებისმიერი კუთხის აგება და გაზომვა შეიძლება.

კუთხის გაზომვა: 1. ტრანსპორტირის ცენტრის კუთხის წვეროზე დადებით, კუთხის ერთი გვერდის გასწვრივ სწორად დაიდება.

2. კუთხის მეორე გვერდი ტრანსპორტირის როტელ დანაყოფს დაემთხვა აღინიშნება. ამ დანაყოფის შესაბამისი რიცხვი უჩვენებს კუთხის გრადუსულ ზომას.






კუთხის აგება:

1. ნებისმიერი წერტილი მიიჩნიეთ სათავედ და სხივი გაავლეთ. ეს სხივი კუთხის ერთი გვერდია.
2. ტრანსპორტირის ცენტრი დაადეთ სხივის საწყის წერტილს. ტრანსპორტირი სხივის გასწვრივ სწორად მოათავსეთ.
3. ტრანსპორტირზე გრადუსული დანაყოფების გამოყენებით, აღნიშნეთ თქვენთვის სასურველი გრადუსის შესაბამისი წერტილი.
4. ტრანსპორტირი აიღეთ. ეს წერტილი მანამადე დახაზული სხივის წვეროს წერტილთან შეაერთეთ.

1

კუთხეები ტრანსპორტირით გაზომეთ და დაწერეთ სახეები.




2

ტრანსპორტირის გამოყენებით ააგეთ მოცემული ზომის კუთხეები.

- 1) 120° 2) 75° 3) 90° 4) 100° 5) 45°

3





სურათზე მოცემული კუთხეების ზომები ჯერ ივარაუდეთ. შემდეგ ტრანსპორტირით გაზომეთ, რვეულში ჩაიხაზეთ და დაასახელეთ. გარაუდები და ზუსტი შედეგები შეადარეთ.



კუთხეების გაზომვა და აგება


1

მოცემული კუთხეები განვომეთ და რვეულებში ჩაიხაზეთ.



2

$\angle ABC$ კუთხე რომელ ზომასთან უფრო ახლოსაა?





ა) 100°

ბ) 90°

გ) 30°

3

განსაზღვრეთ სურათებზე კითხვის ნიშნებით აღნიშნული კუთხეების სახეები. ჯერ დაასახელეთ დაახლოებითი ზომები, შემდეგ განვომეთ.



4

1) დახაზუთ რვეულში 70° -იანი და 120° -იანი კუთხეები.

2) კუთხეების შესახებ გამოთქმული, ქვემოთ მოცემული მოსაზრებებიდან რომელია მცდარი?

ა) 90° -ზე ნაკლები კუთხეები მანვილი კუთხეებია.




ბ) ბლაგვი კუთხე გამლილ კუთხეზე ნაკლებია.

გ) ბლაგვი კუთხის ზომა 90° -სა და 180° -ს შორისაა.

დ) 110° -იანი კუთხე მანვილი კუთხეა.


5

სურათზე მოცემული კუთხე 45° -ია. ამ კუთხის მიხედვით შეგვიძლია გთქვათ, რომელი კუთხე 30° და რომელი 55° ?



6


ჯგუფის წევრები ხელების ქაღალდზე დადებით სურათზე ნაჩვენები წესით, თითებით შექმნილ კუთხეებს ხაზავენ და ზომავენ. ისინი თითების შეძლებისდაგვარად მეტად გამლას ეცდებიან.



ოთხკუთხედები

ოთხკუთხედს 4 წვერო, 4 გვერდი, 4 კუთხე აქვს.

ოთხკუთხედები წვეროს წერტილების ასოების აღნიშვნით სახელდება. ოთხკუთხედის სახელი ნებისმიერი წვეროდან დაწყებით, სხვა წვეროების მიმდევრობითი ჩამოთვლით შეიძლება წაფიქოსთ. მაგლითად, სურათზე მოცემული ტრაპეცია A წვეროდან დაწყებით წითელი ისრების მიმართულებით ABCD ან კიდევ ცისფერი ისრების მიმართულებით ADCB-სავით შეიძლება მოვისენით. ასევე B, C, D წვეროებიდან დაწყებით შეიძლება სურათზე მოცემული ტრაპეციის სახელდება.






A, B, C, D - ტრაპეციის წვეროს წერტილებს უჩვენებენ.





AB, BC, CD, DA მონაკვეთები ოთხკუთხედის გვერდებია.

ქვემოთ მოცემული ოთხკუთხედების სახელდებაც შეიძლება ანალოგიური წესით.

DEHF მართკუთხედია | **MNPR კვადრატია** | **FGKL პარალელოგრამია** | **CDEF რომბია**



1




2

დახახეთ ფიგურები და დაასახელეთ.

- გვერდი ა) 3 სმ 5 მმ; ბ) 4 სმ მეტნე კვადრატი;
- მართკუთხედი, რომლის სიგანე სიგრძეზე 2 სმ-ით ნაკლებია.

3

სურათზე ბავშვებს სახელები დაარქით. მართკუთხედი მათი სახელების პირველი ასოებით დაასახელეთ.



4

რომელი ოთხკუთხედებია გამოსახული სურათზე?

ამ ოთხკუთხედების გვერდებისა და კუთხეების შესახებ რაც იცით, წარმოადგინეთ ნაწერის სახით.

1.



2.



3.



4.




5.




სამკუთხედები

სამკუთხედს 3 წვერო, 3 გვერდი, 3 კუთხე აქვს.


სამკუთხედები წვეროს წერტილების ასოებით აღნიშვნით სახელდება. სურათზე მოცემული სამკუთხედის A, B, C წვეროებიდან ნებისმიერი ერთ-ერთიდან დაწყებით დასახულება შეიძლება: $\triangle ABC$, $\triangle BAC$, $\triangle CAB$. “ \triangle ” სამკუთხედის ნიშანია.




$\triangle MNP$
ტოლგვერდაა




$\triangle DEF$
ტოლფერდაა



$\triangle RTS$
სხვადასხვაგვერდაა




- 1 დაწერეთ სამკუთხედების სახელები და სახეები გვერდებს მიხედვით.




- 2 დახაზეთ 2 სხვადასხვა სამკუთხედი რომელთა თითო გვერდი 3 სმ-ია, ქეთო კი 5 სმ. გაზომეთ სამკუთხედების მესამე გვერდები. ქერიძი ამბობს, რომ ამ პირობის შესაბამისად დიდი რაოდენობით სამკუთხედების დახაზვა შეიძლება. თქვენ ეთანხმებით ამ მოსაზრებას?

- 3 აღნიშნული კუთხეების ზომები ჯერ ივარაუდეთ, შემდეგ კი გაზომეთ. სავარაუდო და ზუსტი ზომები შეადარეთ.



- 4 $\triangle ABC$, $\triangle DEB$, $\triangle KLM$ ტოლგვერდა სამკუთხედებია. გაზომეთ ამ სამკუთხედების აღნიშნული კუთხეები და დაწერეთ მოსაზრებები.



- 5 **ჯგუფებში სამუშაო.** დახაზეთ სხვადასხვა სამკუთხედები და გაზომეთ კუთხეები. გამოთვალეთ თითოეული სამკუთხედის კუთხეების ჯამი. განაზოგადეთ და წარმოადგინეთ შედეგები.


წრეწირი, წრე

წრეწირი ცენტრად წოდებული წერტილიდან ერთი და ოფივე მანძილით დაშორებული წერტილებსაგან შექმნილი შეკრული ფიგურაა.

წრეწირი ფარგლის გამოყენებით იხაზება:



1. გაშალეთ ფარგლის მკლავები საჭირო ზომაზე.
2. გააჩერეთ ნებისმიერი წვერო ქაღალდზე ცენტრად წოდებულ წერტილზე.
3. ფარგლის გამოყენებით შემოხატეთ.

რადიუსი წრეწირის ცენტრის მის ნებისმიერ წერტილთან შემაერთებული მონაკვეთია.
MD რადიუსია.




წრეწირის ყველა რადიუსი ტოლია.

ქორდა წრეწირის ნებისმიერი ორი წერტილის შემაერთებული მონაკვეთია.
LP ქორდაა.




დიამეტრი წრეწირის ცენტრზე გამავალი მისი ნებისმიერი ორი წერტილის შემაერთებული მონაკვეთია. FD რადიუსია. წრეწირის ყველა დიამეტრი ტოლია.



დიამეტრი უდიდესი ქორდაა.


1

სურათები რვეულებში ჩაიხაზეთ. თითოეული სურათის ქვეშ წითელი ფერის მიხედვით წრე, წრეწირი, ცენტრი, რადიუსი, დიამეტრი, ქორდა სიტყვებიდან შესაბამისი დაწერეთ.



2

- 1) ჩახაზეთ რვეულებში სხვადასხვარადიუსიანი წრეწირები.
- 2) დახაზეთ წრეწირის ორი რადიუსი და დასახელეთ.
- 3) დახაზეთ წრეწირის სამი დიამეტრი და დასახელეთ.
- 4) დახაზეთ წრეწირის ორი ქორდა და დასახელეთ.
- 5) დახაზეთ წრეწირი, ორმლის რადიუსი 4 სმ-ია.



რამდენი სანტიმეტრი იქნება ამ წრეწირის დიამეტრი?

მოსაზრება დაწერეთ, შემდეგ გაზომეთ.

3


შეასრულეთ დავალებები

- 1) წრეწირის სამი ქორდა ისე დახაზეთ, რომ მათ სამკუთხედი შექმნან.
- 2) დახაზეთ წრეწირის ურთიერთპერპენდიკულარული ორი დიამეტრი.

მოძრაობები. მობრუნება, ასახვა, მოცურება


მობრუნება

რომელიმე წერტილის ადგილ-მოუნაცვლებლად შენარჩუნებით ფიგურის ამ წერტილის გარშემო მობრუნებით ფიგურის ადგილის შეცვლა შეიძლება.




ასახვა

ფიგურის წრფის მიმართ ასახვით ადგილის შეცვლა შეიძლება (სარკისებრი შეპირისპირება შიდება).



მოცურება




ფიგურის წრფის გასწორივ ნებისმიერი მიმართულებით მოცურებით ადგილის შეცვლა შეიძლება.



ამ მოძრაობების გამეორებით, მორიგეობითი მონაცემებით მოხატულობები იქმნება.

1

თითოეული სურათის შესაბამისად განსაზღვრეთ მოძრაობის სახე. მოძრაობები წარმოადგინეთ ქაღალდისაგან ამოჭრილ ფიგურებზე.



2

დაწერეთ ასოები დიდი და ბეჭდური ფორმით. დახატეთ თითოეული ასოსათვის მობრუნების, ასახვის და მოცურების მოძრაობების მაჩვენებელი სურათები.

მობრუნება



1) R 2) P 3) L

3

სამირემ რვეულის მინდორზე ქვემოთ მოცემული მოხატულობა გამოსახა. სამირემ მოხატულობა პირველი ფიგურის (Yellow) რომელი მოძრაობების გამორიებით გამოხატა?



4

1) რომელი წესითაა დალაგებული სურათები?





2) სურათები ამ წესით ჩაიხატეთ რვეულებში.

3) დახატეთ პირველი სურათი და მარტივით ამოჭრით. სურათის მოძრაობით წარმოადგინეთ ეს წესი.

მოძრაობები. მობრუნება, ასახვა, მოცურება





1

ფიგურის რომელიმე წერტილის ადგილმოუნაცვლებლად შენარჩუნებით ფიგურის ამ წერტილის გარშემო სხვადასხვა მიმართულებით მობრუნებით და გაფერადებით სხვადასხვა კომპოზიციების შექმნა შეიძლება. 1-ლ სავარჯიშოში მოცემული ნიმუშის მიხედვით დახატეთ დანარჩენი ფიგურების სხვადასხვა სურათები.






2

წრეების მოძრაობით სხვადასხვა სურათების დახატება შეიძლება. ნიმუშები გამოიკვლიერეთ და რვეულში გაიმუორეთ.



3


ფიგურები ქაღალდისაგან ამოჭრით დაამზადეთ. ეს ფიგურები 1-ლი პატივის ნიმუშის შესაბამისად ამოძრავეთ. თითოეული მოძრაობის შესაბამისი სურათი რვეულში ჩაიხატეთ.



4

დიდი ფიგურები ასოებით აღნიშნული 4 პატარა ფიგურისაგან შედგება. თითოეული ფიგურის ნაწილები ნიმუშში ნაჩვენების მაგვარად ასოებით გამოსახულეთ.

A. B.










C. D.



H. F.



K L




განმაზოგადებელი დაფალებები


1

80° , 40° და 60° -იანი კუთხეების მქონე სამკუთხედის ყველა გვერდი სხვადასხვა სიგრძისაა. ქვემოთ მოცემული სამკუთხედებიდან რომელი შეესაბამება ამ სამკუთხედს?


ა)



ბ)




გ)







2

- ფერადი ქაღალდისაგან ამოჭერით მართვული მართვული დანაწილები სურათზე მოცემულ ნაწილებად.
- დაჭრილი ნაწილების თეთრ ფურცელზე დაწებებით კვლავ აღადგინეთ მართვული.



3

- A ფიგურის 90° -ით მარჯვნივ მობრუნების მაჩვენებელი სურათი რომელია? სურათი ფურცლისაგან დამზადეთ და მასზე ეს მოძრაობა წარმოადგინეთ.
- ამ სურათით ასახვის მოძრაობა სარკის შეპირისპირება ასახეთ.




4

დახატეთ 120° -იანი კუთხე. ამ კუთხის მართ კუთხედ და გამლილ კუთხედ შეცვლა ერთი გვერდის მოძრაობით (წყვეტილი ხაზებით) უჩვენეთ.


5

დაასახელეთ სურათზე მოცემული წრეწირის ცენტრი, ქორდა და რადიუსი.



6

- რომელ ოთხკუთხედებს და რომელ სამკუთხედებს ხედავთ სურათზე? დაწერეთ სახელები.
- კიდევ რომელი ორი წერტილის შეერთებით შეიძლება ABCD მართვულის 4 სამკუთხე- დად დაყოფა? დაწერეთ ამ სამკუთხედების სახელები.



მრავალკუთხედების პერიმეტრი

პერიმეტრი მრავალკუთხედის გვერდების სიგრძეების ჯამია.

სურათზე მოცემული მართკუთხედის პერიმეტრი:

$$P = 30 \text{ მმ} + 15 \text{ მმ} + 30 \text{ მმ} + 15 \text{ მმ} = 90 \text{ მმ}$$



თუ მართკუთხედის სიგრძეს a -თი, სიგანეს b -თი, პერიმეტრს გი P -თი ავღნიშნავთ მაშინ პერიმეტრი ქვემოთ მოცემულის მაგგარად შეიძლება გამოგთვალით.

$$P = 2 \cdot a + 2 \cdot b \text{ ან } \text{კიდევ } P = 2 \cdot (a + b)$$


$$P = 2 \cdot 30 + 2 \cdot 15 = 90 \text{ (მმ)}$$

1

- 1) დაწერეთ კვადრატის პერიმეტრის გაანგარიშების წესის ზოგადი სახე.
- 2) იძოვეთ კვადრატის პერიმეტრი, თუ გვერდი ა) $a = 15$ სმ;
- ბ) $a = 4$ მ; გ) $a = 2$ კმ.

2

- 20 მ გვერდის მქონე კვადრატული სახის შენობის ეზოში არის ბაღჩა რომლის გვერდების სიგრძე 15 მ და 6 მ-ია. ნარყიზმა A წერტილიდან დაწყებით ბაღჩასა და შენობას გარშემო შემოუარა. მისი გავლილი გზა სურათზე წითელი წყვეტილი ხაზითაა ნაჩვენები. რამდენი მეტრი გზა გაიარა ნარყიზმა?



3


- ჩაიხაზეთ რვეულში მოცემული ზომის ფიგურები .
- 1) კვადრატი, რომლის პერიმეტრი 16-სმ - ია.
 - 2) დახახეთ 24 სმ პერიმეტრიანი სხვადასხვა მართკუთხედები და განხილეთ.
 - 3) ზეპრას ხელში 12 სმ პერიმეტრიანი მართკუთხა ფორმის მუყაოს ქაღალდი უჭირავს. ზეპრამ ამ ქაღალდზე L ასოს დაწერა რომ მოიხდომოს, მისი სიმაღლე ყველაზე მეტი რამდენი სანტიმეტრი შეიძლება იყოს?

4

- სიგანე 3 მ 20 სმ, სიგრძე 5 მ 30 სმ მქონე ოთახის იატაკის ნაპირების გასწვრივ ფიცრის არშიაა შემოვლებული. ეყოფა თუ არა 25 მ სიგრძის მასალა ამ ოთახს?

5


- სურათზე მოცემული ფიგურა 20 სმ-ის პერიმეტრის მქონე კვადრატებისაგან შედგება. რამდენი სანტიმეტრია ამ კვადრატებით შექმნილი დიდი ფიგურის პერიმეტრი?



წარმოდგენები ფართობზე

1

თითოეული ფიგურის პერიმეტრი ერთეულოვანი მონაკვეთებით, ფართობი კი კვადრატული ერთეულებით გამოსახულია. — - 1 ერთეული მონაკვეთი,  -1 კვადრატული ერთეული.




2

უჯრიან რვეულში დახასწევთ გეომეტრიული ფიგურები მოცემული პირობების მიხედვით. იპოვეთ მათი პერიმეტრები და გამოსახული ფართობები უჯრების რაოდენობით.

- ა) მართკუთხედი, რომლის სიგანე 5 სმ, სიგრძე კი 8 სმ-ია.
- ბ) კვადრატი, რომლის გვერდი 6 სმ-ია.

3

1) შეადარეთ სურათზე მოცემული A, B, C მართკუთხედების პერიმეტრები და ფართობები. — - 1 ერთეული მონაკვეთი.  -1 კვადრატული ერთეული.



2) დახასწეო 2 მართკუთხედი, რომლებსაც განსხვავებული პერიმეტრები და ერთნაირი ფართობები აქვთ.

4


სურათზე 1  მართკუთხედის ფართობი 4 კვადრატული ერთეულია.

1) რამდენი კვადრატული ერთეულია ფიგურის ფართობი?

2) რამდენი კვადრატული ერთეული იქნება ამნაირი




8×6 რაოდენობის მართკუთხედისაგან შემდგარი

ფიგურის ფართობი?



5

სურათზე ფერადი ფიგურების ფართობები დაახლოებით რამდენი კვადრატული ერთეულია? $1\boxed{} = 2$ კვადრატულ ერთეულს.




მართკუთხედის ფართობი

როგორ შეიძლება ვიძოვოთ სურათზე მოცემული მართკუთხედის ფართობი? მართკუთხედის ფართობი S ასოთ აღინიშნება.

მართკუთხედის ფართობი შეგვიძლია ვიძოვოთ 1 სმ გვერდის მქონე კვადრატების რაოდენობის მიხედვით.

მართკუთხედის სიგრძის გასწვრივ 1 სმ გვერდიანი 4, სიგანის გასწვრივ კი 3 კვადრატია. კვადრატების საერთო რაოდენობა ე.ი. მართკუთხედის ფართობი:

$$S = 4 \cdot 3; \quad S = 12 \text{ კვადრატული სანტიმეტრი.}$$



მართკუთხედის ფართობის გამოთვლისათვის საჭიროა სიგრძე გაგამრავლოთ სიგანეზე. თუ სიგრძეს ავლინიშნავთ a , სიგანეს b , ფართობს კი S ასოთ, მართკუთხედის ფართობი ასე შეგვიძლია გავიანგარიშოთ.

$$S = a \cdot b$$


ფართობის ერთეულები: მ^2 – კვადრატული მეტრი სმ² – კვადრატული სანტიმეტრი და სხვა.

$$S = 12 \text{ კვადრატული სანტიმეტრი} \rightarrow S = 12 \text{ სმ}^2$$


1

გამოთვალეთ სურათზე მოცემული ფიგურების ფართობები.


1)



2)



3)



2

1) გამოთვალეთ თითოეული თთანის ფართობი.

2) რამდენითაა მეტი სალონის ფართობი

სამზარეულოსა და სასადილო თთანების 8 მ

საერთო ფართობზე?

5 მ

4 მ

3 მ

სალონი

სამზარეულო

სასადილო

ოთახი


3

5 მ სიგრძისა და 4 მ სიგანის იატაკზე ყველა

შერიდან 1 მ ღიად დატოვების გარდა

დანარჩენ ნაწილზე საფენია გაფენილი.

რამდენი კვადრატული მეტრია ეს საფენი?




4

1) რამდენი ცალი მოცემული წითელი

კვადრატი იქნება საჭირო მართკუთხა ფორმის ფართობის დაფარვისათვის?

2) რამდენი კვადრატული მეტრი იქნება

მართკუთხედის ფართობი თუ 1 წითელი კვადრატის ფართობი 4 მ^2 იქნება?






ამოცანების ამოხსნა. ფართობის გაანგარიშება

1

სხვადასხვა ფორმის ფიგურების ფართობების გაანგარიშება მათი მართვულობის დაყოფის გზით შეიძლება. ნიმუში გამოიკვლიერ დანარჩენი მრავალჭუთხედების ფართობები გადანგარიშეთ.

ବୋଲିଗ୍ନାଥ

$$\begin{array}{c}
 \text{Diagram of a composite rectangle divided into three parts: top-left (3d), top-right (2d), and bottom (11d). The total width is 14d and height is 4d.} \\
 = \\
 \begin{array}{c}
 \text{Diagram of a rectangle with width 2d and height 3d.} \\
 S = 2d \times 3d = 6d^2
 \end{array}
 +
 \begin{array}{c}
 \text{Diagram of a rectangle with width 14d and height 4d.} \\
 S = 14d \times 4d = 56d^2
 \end{array}
 \end{array}$$



2

ძირი და მიზანის სურათზე ნაჩვენები ზომის თოახის გარემონტება სურს. ამონების მიზანი ამონების სურათის მიზედ გით.

- 1) а) პარკეტი ყოველ შეკვრაში 4 მ² -ობით
იყიდება. სულ მცირე რამდენი შეკვრა
პარკეტია საჭირო იატაკისათვის?


б) 1 კვადრატული მეტრი პარკეტის
ფასი 12 მანეთი თუ იქნება, რამდენი მანეთი
ფული იქნება საჭირო პარკეტის შეძენისათვის?

2) რამდენი მეტრი ფიცრის არშია იქნება საჭირო ოთახის იატაკისათვის?

3) ოთახის სიმაღლე 3 მეტრია. ერთი ყუთი საღებავი 5 მ² ფართობს
ჰყოფნის. რამდენი ყუთი საღებავი იქნება საჭირო 5 მ სიგრძის კედლის
შედეგებისათვის?

3

- 1) რამდენი კგადრატული მეტრია ფერადი ნაწილის ფართობი?
